

679
991


ISSN 0130—1624

419.

0363060
№ 1 1991



დროშა






ვიმწნოთ ერთად-
ერთის გულით,
ერთის სულით,
ერთმანეთის
ნდობით. ვინც
მხნაა, ის ძლიერია.
მამ „მხნა იყავ და
გაძლიერდი“!..
აი ჩვენი
საანაღნო
მოდოცვა, ჩვენი
საანაღნო ნატოვრა.

ილია

ქართული ტანკა



დროშა

№ 1 იანვარი, (409), 1991

დავით აღმაშენებლის

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

შინაარსი:

ოთარ ჰინჭლაძე. მძიმე აღმართი.

თეიმურაზ მიგაჩიანი. საშური საქმე.

ნუნუ კუპრაიშვილი. სად ვაქაბოთ?!

რამაზ ინანიშვილი. სამაბი-დო რვეულაბიდან.

ვაჟა ლეიშვილი. ფრთები, ფრთები გვინდა...

ნუნუ ბელაძე. ოთარ შიშკა-შვილი.

ვასილ გვეტაძე. დია ჩინა-ლის გოლო დღე.

ვლადიმერ სოლოუხინი. აი რა გვიყო ცენტრალიზაციამ.

დენკო ვლადიმეროვი. ინტერპრეტაცია (იუმორესკა).

პანოტაძე. კროსვორდნი.

დაფუძნებლები: საქართველოს ჟურნალ-გაზეთების ჯამოცემაში „სამშობლო“ და ჟურნალ „დროშის“ კოლექტივი.

© „დროშა“, 1991 წ.

მთავარი რედაქტორი
ოთარ ჰინჭლაძე

სარედაქციო კოლეჯია:

გულნარა ბახტაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, ვახტანგ ვსვანჯია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.

გაიგე აღმართი

დრო მიდის.
და დრო მიდის.
ეს ახალი წელიც დაგვიდგა.
ძნელი და... მაინც იმედია.
1991 წელი.
იმედით ცხოვრობს ქართველი კაცი ამ ქვეყანაზე.
ისტორიის ბედუკულობებში, ხოლო მიუხედავად ამისა, მაინც შენარჩუნებულმა ფიზიკურმა არსებობამ უდრეკ ეროვნულ სულთან ერთად, განამტკიცა ქართველ კაცში მომავლის იმედი და რწმენა.

მაგრამ.
არც მარტოღონ იმედია ჩვენი ცხოვრების მაინცდამაინც იმედია-ნი თანამგზავრი ამ ბობოქარსა და მღელვარე დღეებში, რამეთუ ვიღაცის ან რაღაცის იმედი და მისი გამართლებების უსაზღვრო ლოდინი აქვეითებს ადამიანის ქმედითუნარიანობას, პასიურ მოიმედესა და ამიტომაც უმოქმედოს ხდის მას.

ჩვენი წინაპრები არ ყოფილან უბრალო მოიმედეები და ამის გამო არც უმოქმედონი.

არც ჩვენ უნდა ვიყოთ. გასულმა წელმა ჩვენი მთავარი იმედი აღასრულა.

პირველი მრავალპარტიული არჩევნები.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი ძალების დამაჯერებელი გამარჯვება.

ახალი საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესია შედგა და მძიმე აღმართსაც შეუდგა.

გასული წლის გაუნადგებელი ბევრი იმედიც ახალმა წელმა იტვირთა.

ვნახოთ, როგორ ზიდავს იგი ამ მძიმე აღმართზე უსაშველოდ დამძიმებულ ტვირთს.

ძნელი აღმოჩნდა გასული წელი ჩემთვის. პირადად, აგრეთვე, საერთოდ ჩვენთვის.

ბევრი დამიგროვდა ისეთი, რისი თქმაც და გაკეთებაც ვერ მოვახერხე. ესე იგი, შედეგია. მიწოდდა, ვეცადე კიდევ ძალიან და მაინც ვერ შევძელი. შედეგია ვერ შევძელი.

ვერც სათქმელი და ვერც გასაკეთებელი.

ვის ველაპარაკო?!
ბევრჯერ დამეზადა გასულ წელს ეს გულსაკლავი კითხვა და ბევრჯერაც ვცადე გამოვლაპარაკებოდი ვისმეს, მაგრამ ამაოდ. არავინ აღმოჩნდა არც გამგონი, არც გამგები და აღარც განმკითხავი.

ასეც ვცადე. ისეც. არანაირად არ გამომივიდა.

საჯაროდაც ვცადე ტრიბუნაზე მდგარმა.

1990 წლის 20 ივნისი. იმდროინდელი უზენაესი საბჭოს კიდევ ერთი რიგგარეშე სესია.

ამ სესიაზე წარმოთქმული ჩემი სიტყვა არსად დაბეჭდილა, ხოლო ის, რაც პრესაში შინაარსის სახით გადმოიცა, მე თვითონ ვერ ვიცანი.

ახლა, როცა დრო გავიდა, ხოლო პოლიტიკური სიტუაცია საქართველოს რესპუბლიკაში არსებითად შეიცვალა, ეს ჩემი მაშინდელი სიტყვა ხელმეორედ გადავიკითხე და მომეჩვენა, თითქოს ზოგიერთი რამ იქნებ საახალწლო სურვილადაც კი გამოდგეს.

მაგრამ, ჯერ იმის თაობაზე, რაც მაშინ ყურად არ იღეს და იწყინეს კიდევ:

მაშინდელი საქართველოს სსრ მაშინდელ ხელმძღვანელებს თურმე ძალიან სწყენიათ, როცა მე მათ ვუთხარი, რომ ბოლოსდაბოლოს აუცილებელია სამუდამოდ დავძლიოთ ჩვენივე უმოქმედობით განპირობებული პასიურობა, განვითარებადი მოვლენებისადმი მაჩანჩალური დამოკიდებულება და გადავიდეთ აქტიურ პრაქტიკულ მოქმედებაზე, როცა საქმე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას და ჩვენი სუვერენიტეტის დაცვის გარანტიებს ეხება.

მე მხედველობაში საქართველოს რეალური სუვერენიტეტის დაცვის რეალური გარანტიები მქონდა და არა ცარიელი ლაპარაკი ან უნაყოფო კონცეფციებისა და პლატფორმების შეთხზვა, როცა ლაპარაკი ლაპარაკად რჩებოდა, ხოლო საქართველოს რეალური სუვერენიტეტის

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



საკითხის დასმის წესით

საზღვარი საჩქავე

სიტყვა ადამიანსა ჰგავს, რადგანაც ისიც ადამიანივით მგრძნობიარეა, განიცდის გარეშეთა ზეგავლენას. სანდოც არის და მაცდურიც, ხშირად ღვთაებრივი კულტურით იცვლის ფუნქციებს, შინაარსს, ელფერსაც კი. მიუხედავად ამისა, სიტყვა მაინცა რჩება მრავალ იღუმალებათა გასაღებად, რადგანაც ყველაზე გამძლე და სიცოცხლისუნარიანია, ხშირად ძნელად შესაცნობიც. აწ გამჭრალი და მკვდარი ენებიდან, ვინ იცის, რამდენ სიტყვას დღესაც თვალისჩინივით ვუფრთხილდებით — გვგონია, რომ იგი ჩვენია. ასეთი სიტყვების ამოცნობა ამა თუ იმ ხალხებთან გენეტიკური ნათესაობის დადგენის საშუალებას იძლევა და ამდენად ეს საჩქავე მსოფლიოს მეცნიერულ პრობლემათა დონეზე დგას.

ქართველი ერის ისტორიას აღმოსავლეთისა და დასავლეთის უძველესი ცივილიზაციების სინამდვილეში უჩანს ფესვები. ქართველთა წინაპარი ტომების კულტურა ძველი შუამდინარეთისა და საბერძნეთის გზაზე-

საყართან ყალიბდებოდა. ამიერკავკასია და მცირე აზია, რომელიც ქართველთა და მათი მონათესავე ხალხების განსახლების არეალს წარმოადგენდა, თავისებური შემოქმედებითი ჯაჭვით კრავდა შუმერისა და კრეტა-მიკენის კულტურულ წრეებს.


ცხადია, ასეთ ძლიერ კულტურულ გარემოცვაში მყოფ ქართულ პოლიტიკურ გაერთიანებებს თავიანთი ცხოვრების განვითარების მეტი საშუალება ეძლეოდათ. ძველი მცირე აზიის ქვეყნების ზეგავლენის კვალი დღემდე შეიმჩნევა ქართველი ხალხის ენაში, სულიერი და მატერიალური კულტურის სფეროში. ამის დადასტურებაა თუნდაც ძველმცირეაზიური რელიგიური კულტების, ათეულობით შუმერული, ხეთური, ურარტულ-ხურიტული და სხვა კულტურული ხალხების ლექსიკური ერთეულების შემონახვის ფაქტი ქართველურ ენებში.

როგორც ჩანს, აღნიშნულმა ფაქტმა რამდენადმე განაპირობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქართული პოლიტიკური გაერთიანების ე. წ. აია-კოლხეთის მალაქი კულტურულ-ეკონომიკური დონე, რომელიც ჯერ კიდევ კრეტა-მიკენის აყვავების ხანაში (ძვ. II-I ათასწლეულში) ზღაპრული სიმდიდრისა და ფუფუნების მხარედ გვევლინება. ამის მაგალითებად ჩაითვლება თუნდაც ბერძნული მითები პრომეთეზე და აია-კოლხეთზე (ოქროს საწმისზე). ორივე ეს მითი საქართველოსთანაა დაკავშირებული, რაც, ცხადია, მეტყველებს, ერთი მხრივ, იმდროინდელი აღმოსავლეთისა, და, მეორე მხრივ, საბერძნეთისა და საქართველოს ეთნო-კულტურული და პოლიტიკური კავშირების არსებობაზე.

არაერთი მეცნიერული ჰიპოთეზა არსებობს იმის თაობაზე, თუ რომელი თანამედროვე ხალხი შეიძლება ჩაითვალოს შუმერების მონათესავედ.

სამწუხაროდ, ყველა ეს ჰიპოთეზა ჰიპოთეზადვე რჩება. საკითხი მეცნიერებაში ჯერაც გადაუწყვეტელია. შუმერებთან ქართველთა ნათესაობის დამტკიცებით თავის დროზე დაინტერესებული იყვნენ ნ. მარი, გ. წერეთელი და სხვ.

გ. წერეთელმა რამდენიმე წელი იმუშავა ამ საკითხზე, მაგრამ შედეგი მაინც ვერ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი. ამის მიზეზი თუნდაც ის არის, რომ შუმერული ლექსიკური ერთეულების ანალოგიებს გ. წერეთელი უმთავრესად ქართულ სალიტერატურო ენაში ეძებდა; რაც, ცხადია, ნაკლები ეფექტის მომცემი იყო, რადგან



სალიტერატურო ქართული, როგორც ნებისმიერი სამწერლობო ენა, დროდადრო განიცდიდა რეფორმაციას. ამიტომ იგი შორს დგას ძველი ქართული სამეტყველო ენისაგან.

ამასთანავე ქართულში უხვადაა დალექილი უცხოური, ნასესხები ტერმინები, რომლებმაც დროთა განმავლობაში შეცვალეს ძირძველი იბერიული სიტყვები. ზოგიერთი უცხოური სიტყვა ქართულმა ისე გაიშინაურა და შეისისხლხორცა, რომ მათი უცხოურობა ბევრს შეიძლება ეუცხოოს კიდევ.

ასე, მაგალითად, არაბული წარმოშობისაა შემდეგი სიტყვები: შარბათი, შარაფი, სიროფი, ჯალაბი, ლაბაბი, ტაიჭი, ნადირი, ლაგამი, მათრაზი, ჩაქუჩი, ზამბახი, უბანი, ტევრი, აუზი, ბუხარი, საკანი, ბურჯი, რახი, არაყი, მანდილი, ხალათი, ლურსმანი, მუზარადი და ა. შ.

საჭიროა ზემოთ ჩამოთვლილი უცხოური ლექსიკური ერთეულების შესატყვისი სიტყვების გამოვლენა და შესწავლა ზანურსა და სვანურში. ამით შევძლებთ, ზანურსა და სვანურში აღმოვაჩინოთ ის უძველესი ქართული ლექსიკური ფენა, რომელიც არსებობდა დასახელებული უცხოური ელემენტის შემოჭრამდე, ე. ი. ძირითადად მივაგნებთ საერთო ქართული ფუძე-ენის ლექსიკურ ფონდს.

საქმე ის არის, რომ არაქართული სიტყვების სვანურ-ზანური შესატყვისები ძირითადად ძველი ქართული ლექსიკის ფონდში პოულობენ ახსნას. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცევა სვანურისა და ზანურის ლექსიკური მარაგის მეცნიერულ შესწავლას. ამიტომაც აქამდე არ გაგვაჩნია სვანური, ზანურ-ჭანური განმარტებითი და ქართულ-ზანურ-სვანური სრული შედარებითი ლექსიკონები. ამის გაკეთება შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო. ასეთი ლექსიკონების გამოცემა და მათი ანალიზით მიღებული შედეგი ერთხელ კიდევ ცხადყოფდა მეცნიერულ ჭეშმარიტებას სვანურ-ზანურის ქართული ფუძე-ენიდან განთესვის რეალობის თაობაზე.

სვანური და ზანური ენების საერთო ქართული ფუძე-ენიდან გამოყოფას უხსოვარი დროით ათარიღებენ, რაც ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ზანურ-სვანურში უფრო შეურყვნელად უნდა იყოს შემონახული საერთო ქართული ფუძე-სიტყვათა მარაგი, ვინემ ის ქართულშია მითუმეტეს, რომ ქართული, როგორც სალიტერატურო ენა საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა ისეთი დიდი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მქონე ხალხებისა და ენების გავლენას, როგორცაა ირანული, სპარსული, არაბული, თურქული, სომხური, ბერძნული და ა. შ.

ზანურ-სვანურს, როგორც კუთხურ და არა სალიტერატურო ენებს ამ დროს შედარებით უფრო განცალკევებული მდგომარეობა ეკავათ და, მაშასადამე, ძველი ციხისმაგრებივით შეუვალს ხდიდნენ ყოველ სიტყვას გარეშეთა მოძალეობისაგან. ცხადია, რომ მათ ძველი ქართული ლექსიკის გადარჩენაში უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, ვინემ ეს დღეს ჩვენ გვგონია. აღსანიშნავია, რომ ზემო სვანეთის ტოპონიმიკურ მასალაზე მუშაობისას აღმოჩნდა ათეულობით ისეთი

გეოგრაფიული სახელი, რომელთა ახსნა შეუძლებელი გახდა დღევანდელი ქართულით. მათი შინაარსის გაგება მხოლოდ ძველი ქართული ლექსიკონების მეშვეობით მოხერხდა. ალბათ იგივე შედეგს მივიღებთ სამეგრელოს ტოპონიმიკის სრული და ღრმამეცნიერული შესწავლის შედეგად.

პირადი სამუშაო საჭიროებისათვის შევადგინე ქართულ-სვანურ-ზანური, ასევე, ქართულ-სვანური, ქართულ-ზანური, სვანურ-ზანური შედარებით მოკლე ლექსიკონები, რაც გარკვეულ დახმარებას გვიწვევს არამარტო დიფერენციალური ქართული ენობრივი ორგანიზმის წარმოსაჩენად, არამედ იმაშიც, თუ ძველი მცირე აზიის დიდი ცივილიზაციის მქონე რომელი ხალხის ელემენტებია მასში უმთავრესად გაბნეული. აქ საყურადღებო ისიც არის, რომ ძველი მცირე აზიის ხალხთა (შუმერების, ხეთების) ენის ელემენტები ნაკლებად დასტურდება სალიტერატურო ქართულში იმასთან შედარებით, როგორც ეს მკლავდება სვანურსა და ზანურში. ამის მიზეზიც, ვგონებ ის არის, რომ სალიტერატურო ქართულმა იგივე ელემენტები დროთა განმავლობაში უკუაგლო და მათი ადგილი ირანულ-სპარსულ, არაბულ, თურქულ თუ სხვა ენათა ელემენტებმა დაიკავეს.

ამგვარად, ოდესღაც საერთო ქართული მნიშვნელობის სიტყვების გარკვეული ნაწილი დღემდე ძირითადად ზანურ-სვანურმა შემოინახა. მაგალითისათვის მივმართოთ თუნდაც შუმერულ ენას, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულიდან მკვდარ ენად ითვლება. დღევანდელ სვანურსა და ზანურში დაახლოებით ორასამდე შუმერული სიტყვა-ტერმინი დასტურდება. თუ მომავალში ამ მიმართულებით კვლევამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, ცხადია, უკეთესი შედეგია მოსალოდნელი. დღევანდელი ქართული ლექსიკური მარაგის გამოყენებით შუმერული ელემენტის გამოვლენა დიდ ეფექტს არ იძლევა. ეს არაერთგვარადი ანალოგიური კვლევის მაგალითით დადასტურდა. ამ შემთხვევაში მკვლევარისათვის სვანურ-ზანური ენებია ყველაზე გამოსადეგი. იგივე შეიძლება ითქვას ძველი მცირე აზიის ხალხთა ენობრივი ელემენტების გამოსაცნობად ქართველურ ენებში.

ამის ნათელსაყოფად მივმართოთ რამდენიმე მაგალითს: ქართულად — კაცი, მეგრულად — კოჩი, სვანურად — მარე. მეგრული „კოჩი“ ქართული კაცის დიალექტური ვარიანტია. მაგრამ სხვა მდგომარეობა გვაქვს სვანურში. იქ სიტყვა „მარე“ მხოლოდ შინაარსობრივი თვალსაზრისით უტოლდება კაც და კოჩ სიტყვებს, ფონეტიკურად კი იგი სულ სხვა აგებულებისაა. მაშასადამე, იგი რომელიღაც სხვა ხალხის ენაში უნდა ვეძიოთ. „მარე“ შუმერულში ვაჟიშვილს, ან ვაყვაცს ნიშნავს. მაგრამ ისმება კითხვა, იყო თუ არა „მარე“ ოდესმე საერთო ქართული მოვლენა? დიან, ყოფილა. ქართულში გვაქვს სიტყვა ს-მ-არ-ე, სადაც ფუძისეულია „მარე“, ხოლო ს-პრეფიქსია. ს-„მარე“, ე. ი. კაცთ-ძვალშესალაგი. „მარე“, ჩანს სიტყვაში ქმაჩი (ქ-მარ-ი), რაც უნდა ნიშნავდეს „ქალის — კაცი“.

ქალის — კაცი“.

მეორე მაგალითი: ქართულად — ხელი, მეგრულად



— ხე, სვანურად — ში. აქაც იგივე მდგომარეობაა. სვანური — „ში“ (ხელი) ახლოს დგას შუმერულ „შუ“ (ხელი) სიტყვასთან.

ანდა ავიღოთ ასეთი მაგალითი: ქართულად — მ ა - რ ი ლ ი, მეგრულად — ჯ ი მ უ, სვანურად — ჯ ი მ, ქართულად — ქ ვ ა ბ ი, მეგრულად — ჩ უ ა ნ, სვანურად — ჩ უ ე ნ. გამოსაძიებელია ქართული „მარილი“ და „ქვაბი“ სიტყვები და ისიც, იყო თუ არა „მარილი“ და „ქვაბი“ საერთო ქართული მოვლენა, ან ეს სიტყვები ქართულია თუ არა. თუ ისინი ქართული არაა, მაშინ ძველი ქართული, ჩანს, იყო ის სიტყვები, რომლებიც მეგრულსა და სვანურში ერთნაირი მნიშვნელობითა და ფონეტიკური სტრუქტურით ხასიათდებიან.

არის ისეთი სიტყვები, როცა სამივე ქართველურ ენაში ერთნაირად ეღერს, მაგალითად, ჰ ა ე რ ი. მაგრამ ეს სიტყვა ქართული არაა, იგი არაბულია, ე. ი. ნასესხებია. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართულში ბევრი უცხო სიტყვისაგან წარმოქმნილი კომპოზიტი გვხვდება.

არის ისეთი შემთხვევები, როცა სამივე ქართველურ ენაში ერთი შინაარსის მქონე სიტყვები სხვადასხვა აგებულებისაა, მაგალითად, ქართულად — მიწა, მეგრულად — დ ი ხ ა, სვანურად — ვ ე რ ა ნ გ ი მ. პირველი ორის წარმომავლობა ჩვენთვის გაურკვეველია, რაც შეეხება სვანურ „ვერ“ და „გიმ“-ს, ისინი უნდა მომდინარეობდნენ ხეთური „ვორ“ (დედამიწა) და ბერძნული „გი“ (მიწა) სიტყვებისაგან, შუმერულშიც მიწას „გი“ ეწოდება.

ამგვარად, საჭიროა გამოიკვს: 1. ქართულ-ზანური ლექსიკონი; 2. ქართულ-სვანური ლექსიკონი; 3. ზანურ-ქართული ლექსიკონი; 4. სვანურ-ქართული ლექსიკონი; 5. ქართულ-ზანურ-სვანური შედარებითი ლექსიკონი; 6. ქართულ-ზანურ-სვანური დიალექტების ლექსიკონები.

ძალიან გაკვიანურდა ტოპონიმიკური ლექსიკონების გამოცემა. არაა აუცილებელი ყველა ტოპონიმის განმარტებით გამოცემა. ეს შეუძლებელიცაა. თავდაპირველად უნდა გამოიკვს ცალ-ცალკე, საქართველოს კუთხეების მიხედვით ტოპონიმიკური ლექსიკონები იმის ჩვენებით, თუ რას ეწოდება ესა თუ ის სახელი.

ზემოთ დასახელებული ლექსიკონების მოსამზადებლად და გამოსაცემად არსებობს საკმაოდ მდიდარი მასალა ზანურ-სვანური და საერთოდ ქართული პროზაული დიალექტოლოგიური ტექსტებისა და ფოლკლორული მასალების სახით. ამასთანავე გამოყენებული იქნება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული, სულხან-საბა ორბელიანის, ი. აბულაძის, გ. ჩუბინაშვილის, ა. ჩიქობავას, ალ. ლლონტის, ა. მაყაშვილის და სხვათა მიერ გამოცემული ლექსიკონები.

ამ საშვილიშვილო საქმეში უნდა ჩავაბათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აგრეთვე საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიური ფაკულტეტის შესაბამისი კათედრები, რომელთაც უხელმძღვანელებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

თეიმურაზ მიგაჩანი,
აზნაუთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოცენტი

საქართველოს
წიგნების
კავშირები

საქართველოს წიგნების კავშირები

მწვევე ეკონომიკური კრიზისი.
რა ხშირად გვესმის დღეს ეს სიტყვები. გვესმის კი არა, ვხედავთ, ავგრ, ჩვენ თვალწინ.

კატასტროფამდე მისული ეკონომიკა...
დეფიციტი, დეფიციტი, დეფიციტი...

რისი არა, თითქმის ყველაფრის. ალბათ, ყველა ჩვენგანს მოგვისმენია სესილია თაყაიშვილისა და სანდრო ჟორჯოლიანის იუმორისტული დიალოგი — „გახსოვს?! — რავე არ მახსოვს“ — რითაც ნოველის პერსონაჟები ახალგაზრდობის გარდასულ დღეებს იგონებენ. ეს დიალოგი ყოველ ჩვენგანში სევდანარევ ღიმილს იწვევს ხოლმე. დღესაც ხშირად გაიგონებთ მსგავს დიალოგებს, თორღ უღიმილოდ, სიმწრით ნათქვამს...

— გახსოვთ, პუშკინის ქუჩას რომ დაუფუცებოდით და თვეზეულის მაღაზიაში შევივლიდით, არჩევანი ჩვენზე იყო. ზუთხი თუ ორაგული, კალმახი თუ დომი, წითელი თუ შავი ხიზილალა... არ ვიცოდით, რომელი ერთი გვეყიდა.

— ის თუ გახსოვთ, ძეხვეულის მაღაზიაში თვალს რომ მოგჭრიდათ საოცარი სურნელის სხვადასხვა ასორტიმენტის ძეხვეული?

— ახალი ხორცი დილით თუ არა, ნაშუადღევს მაინც გამოჩნდებოდა მაღაზიის დასაღებზე.

— გახსოვთ, ჭყინტ ყველსა თუ სულგუნს რძე რომ მოსტიროდა?

— მარილი, ასანთი, სიგარეტი ხომ გუშინ და გუშინწინ გაქრა ჩვენ თვალწინ...

რომელი ერთი მოვიგონოთ...
...და ხვალ თუ ზეგ გარდუვალი საბაზრო ეკონომიკა. ფანტასტიკურად გაზრდილი ფასები.

დამოუკიდებელი საქართველო!
ამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთ საკომისიო მაღაზიაში მომიხდა შევლა. სხვადასხვა ძველებურ ავეჯთან ერთად ერთ კუთხეში შავი ძველმოდური პიანინოც იდგა. „რუსული პიანინო, — ფასი 2500 მან“. — ეწერა ეტიკეტზე. მართალი გითხრათ, არაფრით არ ბრწყინავდა, არც გარეგნული იერსახით, არც შიგნით ჰგავდა დიდად ნაპატიებსა და თავშენახულს. ის კი არა, კლავიშები ისე ფერადასული და ჩაყამებული იყო, ხელის შეხება უსიამო შეგრძნებასაც კი იწვევდა.

დავინტერესდი და ორი-სამი დღის შემდეგ ისევ შევიარე იმ მაღაზიაში. პიანინო არ დამხვდა. გაიყიდაო, მითხრეს.

რომ ჩავუფიქრდი, ვერც კი გავამტყუნე მისი მყიდველი. ვერ მივაკუთვნე „ჯიბესქელთა“ კატეგორიას. ეტყობა, ადამიანს სულიერი საზრდო ისევე სჭირდება, როგორც მა-

ტერიტორი. უფრო მეტიც, სწორედ სულიერი საზრდო თუ გადაარჩენს უკიდურესობამდე დაძაბულ ადამიანის ფსიქიკას.

სულ ორიოდე წლის წინათ მაღაზიებში რომ შევიდოდით, ფეხს ფეხზე ძლივს ვაცილებდით. ისე უზვად ელაგა სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელი. პიანინოს, ტელევიზორებისა და მაცივრების არჩევანს ხომ ბოლო არ უჩანდა.

ახლა? ახლა ყველამ კარგად ვიცით. სანთლით საძებნი გახდა ის თბილისურიც. ამაში, ალბათ ძალზე მცირე „წვლილი“ ასორტიმენტის გაუმჯობესებაზე მოდის. მთავარი კი სხვა რამეა.

ვნახოთ თუნდაც ერთი საწარმოს მაგალითი.

თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების საწარმოო გაერთიანება ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის. თავიდან პიანინოების ფაბრიკა ერქვა. მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, გაიზარდა მისი პროფილი. დღეისათვის იგი სხვადასხვა ასორტიმენტის სახალხო მოხმარების საქონელს უშვებს. ძირითადი მაინც მუსიკალური ინსტრუმენტების (პიანინო, გიტარა) წარმოებაა. გაერთიანებაში ერთი შეხედვით ყველაფერი წესრიგშია. მისი წლიური საქონელბრუნვა შვიდ მილიონ მანეთს შეადგენს. სრულდება არეალიზაციის გეგმაც. არც მუშა მოსამსახურეები გამოთქვამენ უკმაყოფილებას ხელფასის ანაზღაურებისა თუ სხვა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გამო. მაგრამ რა, მათ ნახელავს, სანთლით რომ ეძებო, ვერსად წააწყდები.

მოკუსმინოთ ელგუჯა ხატისაშვილს — გაერთიანების მთავარ ინჟინერს.

— ჩვენი წლიური საწარმოო გეგმა 1000 ცალ პიანინოსა და 34 000 ცალ გიტარას შეადგენს. მაგრამ 1989-90 წელს შეუძლებელი გახდა აღნიშნული რაოდენობის ინსტრუმენტების წარმოება. ამის ძირითადი მიზეზი რუსეთის მომწოდებელი ორგანიზაციებიდან ნედლეულის მკვეთრი შემცირება და ზოგ შემთხვევაში მთლიანად შეწყვეტაა.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, სურათი ასეთია: მუსიკალური ინსტრუმენტების ძირითად ნედლეულს წარმოადგენს სარეზონანსო მორი, რომელსაც ქალაქ კრასნოიარსკის სატყეო მეურნეობიდან ვიღებთ. მიმდინარე წელს დაგეგმილი 3 500 კუბური მეტრის ნაცვლად მივიღეთ 200 კუბური მეტრი სარეზონანსო მორი. ანალოგიური მდგომარეობაა პიანინოს მაკომპლექტებელი დეტალების მხრივაც. რომელსაც ქ. ბო-



რისოვოს მუსიკალური დეტალების მწარმოებელი ფაბრიკიდან ვღებულობდით. აღნიშნულმა კომბინატმა ისეთი კაბალური პირობები წამოგვიყენა, რომლის შესრულება ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება. კერძოდ, 1000 ცალი მაკომპლექტებელი დეტალის სანაცვლოდ 2 000 კუბური მეტრი წიფლის მასალა მოითხოვა.

გაერთიანების ხელმძღვანელობა იძულებულია სტიქიურად აწარმოოს აღნიშნული დეტალების მცირე პარტიებით შემოტანა რუსეთის სხვადასხვა ორგანიზაციიდან სახელშეკრულებო ფასებით, რაც, ბუნებრივია, იწვევს წარმოების რიტმული მუშაობის დარღვევას და ასორტიმენტის გეგმის შეუსრულებლობას.

ჩიხიდან გამოსასვლელად საწარმოო გაერთიანებამ კონტრაქტი დაუდო თურქეთის ფირმა „კოქსალს“ 200 ცალი მოდერნიზებული პიანინო — „ივერია 2“-ის მიწოდებაზე. ამ კონტრაქტის ძირითადი მიზანია მიღებული ვალუტით მაღალხარისხოვანი ნედლეულისა და დაზგა-დანადგარების შექმნა კავშირის გარე ბაზრიდან.

ანალოგიური მდგომარეობაა სახალხო მოხმარების სხვადასხვა საქონლის (რბილი ავეჯი, საწოლი, ერთმაგი და ორმაგი სავარძელი, სასადილო მაგიდები და ა. შ.) წარმოების მხრივაც. აქაც ძირითადი ხელისშემწეელი მერქან-ბურბუშელოვანი ფილებისა და სხვა მასალის მოუწოდებლობაა. რის გამოც ხშირად ადგილი აქვს მოცდენებს.

გაერთიანების დირექტორი დემურ დვალაძე და მისი კოლექტივი ეტყობა, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რომ როგორმე საქმე სასიკეთოდ წარმართონ, მაგრამ როდემდე უნდა

ვიყოთ სხვისი ხელის შემყურე და მოიმედე. იქნებ მომავალში ჩვენთანაც მოხერხდეს იმ მაკომპლექტებელი დეტალებისა თუ სარეზონანსო მორის დამზადება. რის უქონლობასაც ასე განიცდის მთელი საწარმო.

არადა, როგორი გულისტკივილით მოიგონა ამაგდარმა მუშამ, ავეჯის საამქროს დურგალმა დავით ნაბახტეველმა ის დრო, როცა ფაბრიკის ეზოში ფეხის დასადგმელ ადგილს ძლივს თუ იშოვიდი, იმდენი სარეზონანსო მორი და ხე-ტყე ელაგაო გორებად.

მთავარი ინჟინრის მოადგილემ კლარა ლაღანიძემ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ დღეს არც ის ენთუზიაზმია და არც ის ხალისი, ადრე რომ ფაბრიკაში სუფევდა. ამის ძირითად მიზეზად კი ახალგაზრდობის პასიურობა დაასახელა.

მართლაც დასანანია, რომ გაერთიანების ისეთ მოწინავე მუშებს, როგორებიც არიან მერაბ ვარდოსანიძე, ლალი ბეგლარიშვილი, სოკრატ ნავროზაშვილი, არამ ერთვანდიანი, ნიკო დურგულიშვილი, დავით ნაბახტეველი და კიდევ ბევრი სხვა, ღირსეული შემცვლელი არ ჰყავდეთ. მედურგელობა ხომ ძირძველი და მეტად საპატიო პროფესიაა და ათმაჯად საპატიო, როცა საქმე მუსიკალურ ინსტრუმენტებს; ადამიანის სულთან დამაკავშირებელ ამ ფაქიზ სიმებს, ეხება.

საქმეს დროზე უნდა შევლა, დროზე, ვიდრე ადამიანის ისედაც გაუკუღმართებულ და გაუხეშებულ სულში მუსიკის დეფიციტი დაისადგურებდეს.

ნუ მოვანატრებთ ქართველ კაცს პიანინოს, ფანდურს, გიტარას...

დღეს ხომ, როგორც არასდროს, ისე გვკვირდება სულის სიმშვიდე.

საბჭოთა საზოგადოებრივი საბჭო

რეპაზ ინანიშვილი

გუბარნიის ციხესთან

1938, ნახალწლევი, განთიადის პირი, ქარი, ქარი, ხორხოშელა, ჩქარი ფიფქები. კედელს და ერთმანეთს მიკრული ჩანაცრებული ქალების ბლანტი და თვალუწვდენელი რიგი. რიგი აღარ ტოკავს, ის მხოლოდ ძირს იწევს, მიწისკენ. ცოტაც და უნიათოდ დაწვება მიწაზე ვეება ცხენებიდან მილიციელების წინ. მაგრამ უცებ ვილაცა შემოფოთებით ამბობს: მიხეილ ჯავახიშვილის მეუღლეც აქ არის, ჯავახიშვილის ოჯახობაც აქ არის! და რიგი შეტოკდება, ისევე აიწევს მაღლა, ისევე მაგრდება თავის უამრავ ფეხებზე. აქა-იქ სახეებსაც ამოაჩენენ ქალები, რამდენიმე თვალი ვარსკვლავივით ბრწყინავს სიბნელეში...

მარინა ცვეტაევა:

„ფული — შემწეა, წერა რომ გავაგრძელო. ფული — ხვალინდელი ჩემი ლექსებია, ფული — ჩემი გამოსასყიდია გამომცემლებისაგან, რედაქციებისაგან, ბინის პატრონებისაგან, მედლქნეებისაგან, მეცენატებისაგან. ფული ჩემი თავისუფლებაა, ჩემი საწერი მაგიდაა, საწერი მაგიდა და ჩემი ლექსების ლანდშაფტები. ეს ის საბერძნეთია, მე რომ შენატრებოდა, თეზევსს როცა ვწერდი, ის პალესტინაა, მე რომ დამჭირდება. საულზე რომ დაწვერ. ფული მატარებლები და გემები, რომლებითაც ყოველ ქვეყანაში მივდივარ, ყოველ ზღვაზე, ყოველი ზღვის იქით.“

ასე მამაკაცურად, ქალური ნერვიულობის გარეშე!
და უფრო ლამაზი გამბედაობით — ქვემოთ: „ლექსებში ყველაფერი ნებადართულია, არა, სწორედ ლექსებში არაფერია ნებადართული, საკუთარ ცხოვრებაში — ყველაფერი“. და თავი ჩამოიხრჩო, — ოღონდაც

ის არ ეკეთებინა, რაც არ უნდოდა მის სულს.

* * *
სერგი მაკალათია. „მთის რაკა“. ბრწყინვალე სიუჟეტი მარგერიტ იურსენარის აღმოსავლური მოთხრობებისათვის.

მეზატონე არიშიძენი მეტისმეტად ავიწროვებდნენ ლებელბს. ბოლოს, იმისათვისაც კი მიუღწევიათ, „პირველი ღამის უფლებითაც“ სარგებლობდნენ. აქ კი გადარეულან ლებელები, შეუკრავთ პირი, მოუსყიდიათ არიშიძეების მოურავი გაგაშვილი (ამას უნდა ეცნობებინა მოხერხებული დრო და ადგილი არიშიძეების ამოსაწყვეტად) და კიდევ ერთი დედაბერი. დედაბერს მარტო ალაპის გადახდა მოუთხოვია სოფლისათვის, მეტი არაფერი.

და აი, ერთ დღეს, როცა ორი ძმა არიშიძე სანადიროდ გავიდა სოფლიდან, ჩასაფრებულმა ლებელებმა დახოცეს ისინი, მესამე ძმა არიშიძე კი ჭიორისაკენ გაქცეულა. რიონთან მისულს, ერთი მტირალი დედაბერი დედაბერი, — წყალში გამიყვანეო. არიშიძეს დედაბერი ცხენზე შემოუსვამს, შესულა წყალში და, შუაში რომ მისულა, დედაბერი ჩაჰფრენია ქეჩოში, გადავარდნილა ცხენიდან, არიშიძეც გადაუყოლებია და თვითონაც დამხრჩვალა, ბატონიც დაუხრჩვია.

იმ დედაბრის სახელზე ლებელები დღესაც აწყობენ თურმე ტაბლას! რამდენი ასეთი სიუჟეტი ჩაიდუმალელებული ჩვენში!.. მე გაუთბედავდი დამუშავებას, მაგრამ ვილაცეები თავებდაწეულნი დგანან, ის თავები კი ციხის ქონგურებს გვანან...

დადიანის ქალი

ცხოვრობდა ხაშმის მახლობლად, ივრის გადაღმა, უცნაური დედაბე-

რი — კაკო დადიანი (ნამდვილი სახელი, ვფიქრობ, ეკატერინე ერქვა), დიდი დადიანების შთამომავალი, გენერალ ქოჩაკიძის მეუღლე. ამ ქალის სამყოფელი და ცხოვრების ნირი ადრევე აღწერილი მაქვს (გვარის მიუთითებლად) პაწაწინა მოთხრობაში — „ნასახლარი“. ახლა მინდა, არ დაიკარგოს მისი ნაამბობებიც, რომელთა მსმენელი მე გავხდი წისქვილთან და მატარებელში, როცა ისიც და მეც (იგი ახალგაზრდა რუსი ქალის თანხლებით) სოფელ სართიჭალის ბაქნიდან გავემგზავრეთ თბილისში.

ოთხმოცდაექვსი წლისას, დაბატარავებულს, ყვითლად გამომშრალს, უალრესად ნათელი გონება და მბრძანებლური ხმა ჰქონდა შერჩენილი. ისეთი ხალისით მელაპარაკებოდა მისთვის „ვილაც სოფელ ბიჭს“, თითქოს შვილიშვილი თუ არა, შვილიშვილის უახლოესი მეგობარი მაინც ვიყავი. იმ ნალაპარაკებიდან, რა თქმა უნდა, შემომრჩა ფრაგმენტები. მაინც ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს, ძალიან საინტერესოც ზოგიერთი მათგანი.

პირველი მახსოვს ჩივილი — რა ვქნა, რომ მალე საფლავში უნდა ჩავიდე და თან უნდა ჩავიყოლო ყველაზე უძვირფასესი რამ, რაც კი მთელი სიცოცხლის მანძილზე გამაჩნდაო — ფრანგული... ფრანგული — უდიდესი მადლი. კაცობრიობისა! ხელის აწევით, რიტმული რხევით წარმოთქვამდა გრძელ, ლამაზ ფრაზებს. იცინოდა, ბვირდებოდა რუსი ახალგაზრდა ქალი. დაამთავრა დეკლამაცია, თითი მომაჭირა შუბლზე, — ვიცი, აქ არ შევა არაფერი, მაგრამ ყურებმა ხომ გაიგონეს — სირინოზების ენაა ფრანგთა ენა! რუსული მაინც თუ იციო, რა თქმა უნდა, გინებების მეტიო. გამოდი ხოლმე ჩემთან, წისქვილში, შეიძლება ცოტა ფრანგულიც კი მიიღოს მაგ გოგრამო. მერე ყვებოდა ევროპაში მოგზაურობის ამბებს.

ეს იყო, ცხრას ცხრა წელს. თან ვისთან მომიხდა შეხვედრა და მგზავრობაო, იცით? აკაკი წერეთელთან. იმედი მაქვს, აკაკი წერეთელი მაინც გეცოდინება, — გადმოხედა მე. მე ვილიმებოდი და ვწითლდებოდი. აკაკი იყო ღმერთი, განცხრომილი. ღრუბლებში. თბილი, რბილი იმერული სიტყვა-პასუხი! იმერულად ენაკვიმატი. დარდიანიც კი მოცინარი. ოცდაათი წლით უფროსი იქნებოდა ჩემზე, თანაც სამოცდაცხრა წლის ასაკში, და ჩემი ქმარი მაინც ეპვიანობდა ცხვირჩამოშვებული.

პარიზში ყოფნისას მიგვიპატივებოდა როტშილდმა. ამ მილიონერს ქარხნები ჰქონდა ჩვენშიც, ბათუმში. ჩა-

ვიცი, გამოვიპრანჭე, ვავიპეწე, დავიკიდე საგვარეულო უძვირფასესი გულსაკიდი, მიუტარებდის ნაჩუქარი, მეგონა, გული შურით შეუწუხდებოდათ ფრანგ ქალებს. გამოვცხადდი თავიწეული კოლხი ამორძალი, შევედი დარბაზში და კინაღამ მე არ გამოვიტე ფრანგი ქალების მაგივრად. ის თავით-ფეხებამდე მარგალიტებში ჩამსხდარი მადამები და მამულაზნელები თვალმდაყველები შემომყურებდნენ. ამ კუნხარკას აქ რა უნდაო, მაგრამ ამომიდგა გვერდით აკაკი, — რა ჰქენიო, კატავ, ეს (ის კატას მეძახდა) რა ყველანი დაამხე თავიანთ ბრილიანტებთან ერთად. შეხედე, როგორი ალტაცებული მოდის თვითონ როტშილიო. და მართლაც მოვიდა როტშილი, მთელ იმ საღამოსაც არ მომცილებია გვერდიდან. უუ, ძალიან შურიანები არიან ფრანგი ქალები...

მივდიოდით გერმანიაში, დრეზდენში, ცნობილი მუზეუმების დასათვალისწინებლად. ჩვენთან ერთად მგზავრობდაო ვიღაც იაპონელი, რა თქმა უნდა, ჩვენი შეხედულებით, მკადის ფეკვილით გამომცხვარი ბასილა. აბა, რა გუნებაზე იქნებოდა აკაკის მაცურებელი! იჯდა სფინქსივით, დაყრდნობილი ხელჯოხზე, მიდის მატარებელი, მიირწყვა. მომრევია მე ძილი და მივყუდებულვარ იმ იაპონელს. მძინავს. იაპონელი თვითონ არც კი სუნთქავს. გავახილე თვალი და შემკრთალი, შერცხვენილი ვეკითხები, — რა ენაზე შემძლია მოგმართოთ? თუნდაც რუსულადო. ავიწურეთ და დავიწურეთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, რალაცეები გვქმონდა ნათქვამი იაპონელზე ქართულად. ვაი, თუ რუსულადაც წამოგვცდა რამეო, მაგრამ რას შეამჩნევდი იაპონელს. რაკი გახსნა სახე, სულ ფიანდაზად იყო გაგებული. მერე ყველაფერი ზეპირად იცოდა ქვეყნიერების! გიდობასაც კი ის გვიწევდა, მასპინძლობასაც. ისეთ რესტორანში დაგვაპტივა, სულ კეფას იფხანდა აკაკი. წერილებს მწერდა იაპონელი, თავის ამომავალი მზის ქვეყანაში მეპატიებოდა. დაიწყო ომი და ყველაფერი გაქრა...

მაშინვე იყო თუ მერე, ჩვენი ქალბატონი კაკო ნამყოფი იყო კუნძულ კაპრიზეც. შეხვედროდა გორაკის. გორაკი გავდაო ოჩოფეხებზე წვალებით შემდგარს. ჰქონდაო, ჩვენში რომ ვიტყვი, მაჭრის გასაწური ულვაშები, ბოზი, დაყრუებული ხმა. გადაბორილი თავი სულ უპრიანდება და მუტყური „ო-“ებით ლაპარაკობდა. — პოეალუსტა! პოეალუსტა! ერთ სიტყვას იმეორებდა ძალიან ხშირად, — რაზემ! რაზემო! და ყველაზე მთავარი — ნანახი

ჰყავდა ლენინი, ისიც საფრანგეთში, პარიზში. დასწრებია კროპოტკინისა და ლენინის კამათს (?!). კროპოტკინი იყოო დიდი, იმპოზანტური, მკერდზე დაფენილი წვერით. ლენინი პატარა იყო. მოყვინდლო, მოწითული თმით და ულვაშებით. ძალიან უბრალო პიჯაკი ეცვა, ყოველთვის გახსნილი და იმასაც ხშირად იწვედა უკანო. ენასაც უკიდებდა ცოტა, მაგრამ რომ უტევდა კროპოტკინს, რას მოჰფარებოდა კროპოტკინი, აღარ იცოდაო...

ბერია უკვე დამხობილი იყო. მაინც ხმამაღლა ამბობდა — ბერია ძალიან მენმარებოდა, თვე არ ვავიდოდა, არ გამოეგზავნა მოსკოთხი და ფულიცო. შალვა დადიანი, მწერალი, ახლო ნათესავია ჩემი, მაგრამ როდის რა მხრიდან დაუბერავს მის თავში ქარი, ვერ გაიგებ. შემთხვევით თუ შევხვდით, მაშინაც ვკამათობთ და ვკამთ ერთმანეთსა...

ეცვა მერცხლისფერი ხავერდის ძველი, ძველებური პალტო, ეხურა ბერძნული ჩაჩი. ოდნავ უთრთოდა წვერილი, ყვითელი თითები. მომწვანოდ უელავდა ფოსოებში ღრმად წასული თვალები... რა სამწუხაროა, სხვა მნიშვნელოვან შტრიხს ვეღარ ვინახებ მისი პორტრეტისათვის...

* * *

კ-ს ნაბამობი: ბავშვები რომ მყავდა ზოოპარკში, ერთი ამხანაგი შემხვდა, იქ მუშაობს, ზოოპარკში, გაჭირვებული ბიჭია, ცხოველებს აჭმევს, ფულს აკეთებს ცოტას. გამოგყვა ჩვენ, თხელია, მაღალი, ხალისიანი. იხვებისა და ბატების ტბორთან ვავიკვირვე, — რა არის, ბიჭო, ცოტა მეტი წყალი ვერ შეუშვით, რომ გაცურდ-გამოცურდნენ ეს საცოდავები? გაეცინა. — მეტი არ შეიძლება, დაიღრჩვებიანო. ისე არიან გამხდარნი ცუდი კვებით, ისე აქვთ გადაგვარებული ყველაფერი, ცხიმს ვეღარ გამოჰყოფენ ბუმბულებზე წასასმელად, სველებიან, უცებ მძიმდებიან და, წყალი რომ ღრმა იყოს, დაიღრჩვებიანო.

არის საჭირო რაიმენაირი კომენტარი? ანდა ამოხვრა?..

* * *

ქალაქში ჩვენს მაღლა დაცარიელებულია ცა. არ დატრიალებენ მღუმარე ძერები, არ დაჟიჟივებენ მერცხლები, არ გადაივლის გადამფრენ ფრინველთა გუნდი, თუნდაც გადაიფრინოს, მისი ხმა არ ჩამოდის ჩვენამდე, ჩვენ ვერა ვხედავთ მას. გვექმნება შთაბეჭდილება, რომ გამოფიტულია, ეროზირებულია ჩვენი ციცი.

და რა სასიამოვნოა, რა სასიხარუ-

ლო, მტკვრიდან რომ ავლენ მაღლა, ზედ დასთახთახებენ წყალს თოლიების გუნდები.

* * *

წინათ გლეხი სოფლის განუყოფელი ნაწილი იყო, გლეხს თითქმის არაფერი შეეძლო სოფლის გარეშე. დაღლილი, ნიათგამოცლილიც კი, გადიოდა სოფელ-ქვეყანაში, სალაც-ბოზე ღებულობდა ინფორმაციას, რომელიც აუცილებელი იყო მისი ხვალისდელი დღისათვის.

გლეხს სოფელთან ერთად უნდა ეზრუნა: გზებზე და არხებზე. ტყეებზე და მინდვრებზე, სკოლაზე და გადასახადზე. საკუთარ საქმეებსაც სოფელს ეკითხებოდა, მის ჭკუაზე ხნავდა, ფარცხავდა, თესავდა, ჭიგოდა შეშა მოჰქონდა, სხლავდა ვენახს, აკავებდა, სთონნიდა, სწამლავდა, სთიბავდა, კრეფდა. სოფლის კეთილი ჭკუა ყველას სწვდებოდა.

ახლაც გამოდის გლეხი სალაც-ბოდ, თავისი სახლის წინ, უმთავრესად სიციხეში, სულის მოსათქმელად, მოუსხდებიან მეზობლებიც, მაგრამ, საოცარია, უმთავრესად დუმან. თუ ლაპარაკობენ — გორბაჩოვზე, რევიგანზე, ტეტჩერზე; რევიგანს უთქვამსო, თუ გრეე ამუშავა გორბაჩოვმა თავისი ხალხი, ოცდამეერთე საუკუნეში საბჭოთა კავშირი ერთი ჩამორჩენილი კაპიტალისტური ქვეყანა იქნებოდა. სოფელში თითქოს აღარაფერია საერთო, სასაფლაო. გზას თავისი პატრონები ჰყავს, ხელფასს ღებულობენ. ამათ ირტყან თავში გაკეთებაც, მოვლაც, არხიც ასევე. არხიც, ტყეც, მინდორიც, სკოლაც, გადასახადიც. როგორც კი სასოფლო რამეზეა სიტყვა, გლეხი შინ შედის, ტელევიზორთან ჯდება. თავისთვის იცის ყველაფერი, ამ ტელევიზორიდან, გაზეთებიდან. კოლმეურნეობაში გამეფებული ერთმანეთის სიძულვილს განდგომით, გამონაპირებით აცხრობს, იფარავს ეზოს მაღალი გალავანით, მაგარი მესერიც. სოფლის საერთო სახეზე, საერთო სულზე აღარავინ ფიქრობს, თანდათანობით, თანდათანობით და ყოველი ადამიანი გადაიქცევა სხვათათვის შეუღწვევლ ციხედ.

* * *

ვთხოვ თითქოს მშვიდად ამა თუ იმ ეპიზოდს, და უცებ ვწვევტ. გადავდივარ სხვაზე. ნუ დამიწყებთ ახსნას, შეგონებას. ეს უკვე ჩემი მეთოდია. ხანგრძლივი მოფერებისა და მსახურების შემდეგ, მე გადავიღვარ ჩემიანი დამოკიდებულებაზე ჩემს მკითხველთან. დაე, მან აწლა გალიზიანებულმა განაგრძოს ჩემი ნაწერების კითხვა.

* * *

გათვითმთავარი: მე მაშინ გავხდი წამდელი ოსტატი, თავი რომ დავანებე ერთ სონატაში ათი სონატის შინაარსის ჩადებას.

* * *

საოცარი დრო დადგა. გამორჩევით ჩვენთვის, ვისაც პირადად გვანსოვს ოცდაათიანი და მისი შემდგომი წლები. მაშინ ჩვენ რაღაც ანგვლოტური ლუქით გვქონდა დალუქული ჩვენი გონების კარები. აი, ერთი იმ ლუქთაგანი:

პატარა ბავშვი მერხზე ათვალიერებს ახალ წიგნს. ნახა სურათი, წაიკითხა ქვეშ მინაწერი, — „სტალინი“. მერე გადაშალა კიდევ ფურცელი და იქაც წაიკითხა ქვეშ მინაწერი: „ფინია“. ვიღაც ყურმიდარაგებულმა დააწყვილა ეს სიტყვები და მეორე დღესვე იმ ბავშვის მამა გაქრა. მოდი და ნუ დაადებ გონების კარს ლუქს!

ჩვენი სტუდენტი მეგობრებიც გაქრნენ, რა იყო, რა ისეთი მოიმოქმედეს, რომ კატორღაში ახდევინებდნენ სასჯელს? სტიპენდიები აიღეს, სასაღილოში ჩავიდნენ, ერთმანეთს მოესიყვარულნენ ჭიკით. დალოცეს ადგილი, სადაც ასეთ მშვენიერ ღვინოს აყენებდნენ, — ჩვენს ქვეყანას, ჩვენს საქართველოსო. — შეუჭახუნეს ჭიქები სამმა. სულ ეგ იყო. საქართველოს ცალკე დღეგრძელობა არ შეიძლებოდა და გაქრნენ.

მამაჩემის ერთი მეგობარი, სოფლის მეურნეობის გამოჩენილი მუშაკი მოსკოვში მიდიოდა ორდენის მისაღებად. კუბეში ორნი იყვნენ, მეორეც ორდენით დაჯილდოებული.

მატარებელი ხარკოვში გაჩერდა. ჩვენმა მგზავრებმა გახეთები ამოიტანეს. ერთში პიტლერზე ეწერა რაღაც, მამაჩემის მეგობარს უთქვამს: ძალიან მაგარი ორატორი ყოფილა ეგ მამაძალილო. მამაჩემის მეგობარიც გაქრა, მასთან კუბეში მყოფიც. იმას ხომ თვალ არ ექნება, რამდენი ემსხვერპლა გულბერძნულ კითხვას: — სტალინი რომ მოკვდება... რას ჰქვია, მოკვდება! ბრალდებაშიც კი ვერ ბედავდნენ ამ სიტყვების ჩაწერას.

საოცარი დრო დადგა, გამორჩევით ჩვენთვის, საშობო რომ გადაცდილობით, ან მიახლოებულნი ვართ. მართო ერთხელ რომ გადაშალია ჩვენი უბრალო საღამო გაზეთი „თბილისი“, თავზარი დაგვიცემა, ვინ რაღას არ წერს და თანაც როგორი სიმკაცრით. იმათ ხომ უხდიან სამაგიეროს, სტალინური ეპოქის სამართავი ბერკეტები რომ ეპყრათ ხელში, მილიონობით უდანამაულონი რომ მოსპეს, არ ერიდებიან დღევანდელ ხელმძღვანელობასაც, ბრალს სდე-

ბენ მკონარობაში. ბიუროკრატიზაში, საერთოდ უმაქნისობაში, და მოითხოვენ, დატოვონ დაკავებული პოსტები. მიუხედავად ამისა, კუჩებს მაინცდამაინც დიდად არ აჩნევია არაფერი, თვით ჩვენც — მხოლოდ შემკრთალი მოლოდინით გვაქვს თვალები სავსე. ვერ ვხარობთ ჩვენ, როგორც ვითარება მოითხოვს. და ეს იმიტომ, რომ ჩვენ დავიწყებული გვაქვს სიხარული.

* * *

ჩემი სტუდენტობის დროს ამბობდნენ შალვა ნუცუბიძეზე: — მე შევქმენი ქართული ფილოსოფიური სკოლა, მე დავუწერე მსოფლიოს „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“. მე ვთარგმნე რუსულად „ვეფხისტყაოსანი“. მე მაკოცა სტალინიმა აი, აქ, შუბლზე, და რა მომიზღეს ყოველივე ამაში: — გახვრეტილი ჯიბეებით დავდივარ და ერევნის ბატიბუტით ვიკვებები.

ფ რ ა ბ მ ე ნ ტ ი:

მამა იოანე სარკმელთან გაჩერდა. ზღვა გამდნარ ოქროსავით ტოკავდა ოდნავ შებაცებულ აღმურში. გრძელი, თითქოს დაუსრულებელი ჩრდილები შავად გართხმოდნენ მიწას. იმ ჩრდილებს ეთამაშებოდნენ ნამგალები და მერცხლები.

სატრაპუნოს უკანა კედელთან ექვსი ბერი იჯდა. იოანეს მქრქალად გაუწათა ღიმილმა სახე. შუაში თორნიკე იჯდა, დიდი, დიდხელებიანი, მარცხენა ხელი ისე ჰქონდა აწეული მაღლა, თითქოს სასწორი უჭირავსო ორი თითით და ნელა აქანავებდა. ბერები იმ ხელს მიშტერებოდნენ. თორნიკე რაღაცას ყვებოდა და სიტყვებს სიმღერასავით უგრძელებდა. ბერები იცინოდნენ. თორნიკემ მარჯვენა ხელი შეუშვირა მარცხენას. თითქოს სასწორი გაუშვა... არა, სასწორის ცალ ხელს არ აგებებენ. მარცხენა ხელის ორი თითით ცინდალი ჰყავდა ატაცებული ქეჩოთი, იმ ცინდალს შეუშვა ხელი, მარჯვენით დაიჭირა და.. რომ არ გადასკუბდა ცინდალი მოლზე? მარჯვენა მომუჭული ეჭირა. მუშტი ვეება ჰქონდა, თან ისე აზანზარებდა, ვიღაცას აფრთხილებდა, არ გაეებდა, რაც გასაბედი არ იყო, თორნიკეს მუშტი დაიტანდა. ბერები უფრო ხმამაღლა იცინოდნენ. აქ მაინც რა უნდა ყოფილიყო სასაცილო, მაგრამ იცინოდნენ...

* * *

ყველაფერი აიტანს საჯაროობას, სახალხოობას, საქვეყნოობას, ქალკაცური სიყვარულის გარდა. ეს სიყვარული განმარტოებულობის, მოფარებულობის, მიბნელებული კუთხების მკვიდრია. დაუწყებთ გამოდევ-

ნას ამ ადგილებიდან? მოკლავთ, მოკლავთ.

ე მ ს კ უ რ ს ი ა ზ ე:

— ეს ადგილები იყო, ეს ვაკე ტყეაი, ეს სწორად ასული დიდი წიფლები, მუხნები, იფნები, ნეკერჩხლები. მიწა სქლად იყო დაფარული ჩამოცვენილი ყვითელი ფოთლებით. ნისლით ვიყავით შემობრუნებულნი, თეთრი, სპეტაკი ნისლით, დავიწყეთ მსუბუქი კოცნით, ერთი, მეორე, მესამე, გავცხარდით, წამოვიღე, და ვუთქვე იმ სქლადდადებულ ყვითელ ფოთლებზე. ჩხიკვის ხმა გვესმოდა ერთ ხანს, — რას სჩადით, რას იმას — შვრებიტო. მერე აღარაფერი. გოვო ქაჩი იყო, ქაჩის კბილებით და თვალებით. წამით არ დაამნებებია, უკნით. მისხლტებოდა, მიცურავდა უკან. მე ჩემსას ცვილილობდი, უფრო ამაოდ და ამაოდ. ოფლის ღვარებად ვიქეციტ ორივენი, და როცა ავწიე ხელები მაღლა, და როცა წამოვდექით მთვრალეებისით, ისევე მივეკარიტ ერთმანეთს დარცხვენალები, ხიტიხით. ყვითელ ფოთლებში კარგად მოზრდილი ბილიცი გამოგვეყვანა შავად. მე ფეხებით დავუწყე იმ ბილიცი ფოთლების მიყრა, ის ჩამეჭიდა და გამაქცია იქიდან...

ო, ღმერთო! პირველკურსელები ვიყავით, ჩვიდმეტი წლისანი ორივენი...

* * *

„მნათობის“ პირველ ნომერში დაბეჭდილია გერონტი ქიქოძის „თანამედროვის ჩანაწერები“. ეს მთელი მოვლენაა, პირველ რიგში — ცარიელი რომ არ ჰქონდა ამ ქვეყნიდან წამსვლელ ბატონ გერონტის თავისი მწერლური უჭრა. მეორე — მეტად თავისებურია თავად ჩანაწერები. არსად, არც ერთი სტრიქონი დოკუმენტებიდან. ავტორი ზის და თვითმხილველის დამაჩერებლობით გვიყვება ყოველივეს, — პირადულს, საქვეყნოს, საკაცობრიოს, — ოდნავდაც არ აწუხებს ფიქრი, დაუჭერებენ თუ არა; მესამე — გერონტი ქიქოძის მიერ 1954 წელს გაკეთებული დასკვნები სოციალიზმზე, ლენინზე, სტალინზე, ბერიაზე და სხვებზე — დღევანდელი ტენდენციებით სუნთქავს.

გასაოცარი — რა ინტელიგენცია გვეყოლია ჩვენი საუკუნის პირველ ნაწევარში. და რაღა დაგვჩა მათგან... „თანამედროვის ჩანაწერები“, მე მეჩვენება, მწველ რეკვიემად იმ საცოდავად ჩაუღეტილ ხალხზე...

* * *

მე მაინც ვაჭირვებული ცხოვრების ნაყოფი ვარ. ქალაქად ვიყავ თუ სოფლად, ან ვმსახურობდი, ან გლეხურ საქმეს ვაკეთებდი ყოველგვარი

შეღვათების გარეშე. რაც არ უნდა წიგნი მქონოდა წასაკითხი, ანდა, დასაწერი, მე მათ ვტოვებდი. რათა დროზე მიმხებოდა ჩემი სამსახურის გზისა თუ ვენახისათვის.

ვეიქრობ, აქედან მოდის ურღვევი ჩვევა, სწრაფად წავიკითხო ჩემი წასაკითხი. სწრაფად ჩავიწერო ჩემი ჩასაწერი. დღესაც მუდმივად მღევს რაღაც გაფრთხილება, დამაშინებელი გაფრთხილება, რომ მე უფლება არა მაქვს, მთლიანად მივეცე კითხვასა თუ წერას, მე საამისო ყოფა პეშვობით უნდა გამოვგლიჯო ცხოვრებას. ვიმუშაო იმ მასალებით, იმ დროში, რაიც ათადან დათმობილი მაქვს ბედისაგან. გამოვლექილი ადგილები კი ღრმულეზად აჩნდება ჩვენს ზემოთ გადაძაველ ჩვენსავე მფარველ თაღს.

აქედან სულ შიში — ერთი გაუფრთხილებელი გამოტაცებაც და ჩამოინგრევა, ჩამოწევა ის თალი.

* * *

ო, რა ძნელია სამშობლო ქვეყნის ახლებური წარმოდგენა — თავისი პატრონი თვითონ, ჩვენი უალრესად ჭიუტად მომთხოვნი ხალხის პასუხის მიმტემი თვითონ, ყოველი ჯურის ჩვენი მტრის პასუხის მიმტემი თვითონ... ჯერ-ჯერობით პლაკატებივით ბრტყლად და ორიოდ ფერად ვხედავთ მის მომავალს, იმასაც, თითქოს მინიან კარს იქით, რომელსაც წამდაუწყუმ აღებენ.

* * *

იოსებ იმედაშვილი, „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“. 5 ათასამდე გვერდი, 50 წლის ნამუშევარი ნამდვილი ლექსიკოგრაფის გულმოდგინებით. 50 წელიწადია დევს ხელნაწერი და ერს, მის მეცნიერებათა აკადემიას, მწერალთა კავშირს, დარგობრივ ინსტიტუტებს ვერ გამოუციათ იგი. აბა, ყოფილიყო მისი ავტორი „მარიფათიანი ვინმე“. ერთხელ კი არა, ორჯერ გამოსცემდა აქამდე. არადა, როგორ გვეჭირდება ყოველ ჩვენგანს ასეთი წიგნი.

* * *

ნიკოლო მიწიშვილი ტკბილ მოსაგონარს გვიყვება „ეპოპეაში“. პაოლო იაშვილს ძალიან მოსწონდა ჩემი ლოგინის ზეწარი. ერთ დღეს, მე რომ არ ვიყავი შინ, წაუღია ეს ზეწარი მკერავისთვის და საღამოს მშვენიერი თეთრი პერანგით და კიდევ უფრო მშვენიერი ღიმილით დამაღვა თავსო.

* * *

ეს საოცრებაა. რეზო გაბრიძეს პუშკინის მონასმენის სტილში გაუ-

კეთებია ნახატების მთელი სერია: „პუშკინი საზღვარგარეთ“. ძნელად აჯერებ თავს, რომ ეს ყოველივე დიდი პოეტის დაუღევარი ხელით არ არის ნაკეთები. ჩანს, ჩვენს კოპების შექვევას და კეფის ფხანას უცებ აუღეს ფრანგებმა ალლო და პირველად ისინი გვთავაზობენ ნახატების მთელ ალბომს „პუშკინი საზღვარგარეთ“. წინასიტყვაობა ალბომისათვის დაუწერია ანდრეი ბიტოვს — „თავისუფლება პუშკინს“. გამომცემელია „სინტაქსისი“. 6 ივნისის „ლიტერატურნაია გაზეტა“ აქვეყნებს ნიმუშებს ალბომიდან. როდის შევხვდები რეზოს!..

* * *

„სიყვარული კვდება, მეგობრობა უფერულდება, სოფელში არეულობაა, სასახლეში კი — უზნეობა და სისხლის ღვრა. ოჯახები ინგრევა. ოჯახები! შვილი მამას ღალატობს... მამა შვილს ებრძვის, ხალხი გაბოროტდა, უნდობლობა და ორპირობა ბოლოს მოუღებს ამ ქვეყანას“.

ამას შექსპირი ალაპარაკებს გლოსტერს, ოთხასი წლის წინათ, როცა ჯერ გრამიც არ ჩაესუნთქათ ადამიანებს მომწამგლევი ნივთიერებებისა, რასაც ტონობით გამოჰყოფენ მანქანები ახლა. რა ძალა ჰყოფნიდა შექსპირს, ერთი გულით ეტარებინა უამრავი ტრაგედია, რომლებიც აკუნესებენ მთელ ამ არეულ მსოფლიოს დღესაც. ეს ძალა ხომ არ არის ყველაზე დიდი იმედი მომავლისა... ძალა ჩვეულებრივი ადამიანისა, შექსპირისა.

* * *

პირველთა შორის დოსტოევსკი გამოსულა ტოტალური სახელმწიფო სისტემის დამყარებისთვის მებრძოლთა წინააღმდეგ (სოციალიზმის წინააღმდეგ). მას უწინასწარმეტყველებია კიდევ — 100 მილიონ ადამიანს მაინც შეიწირავს ეს სულელური მოძრაობა. მის თანამედროვეებს რა? ჩვენა ვართ თავზარდაცემულნი ამ წინასწარმეტყველების ახდენით.

* * *

საავადმყოფოში ყოფნისას ჩემმა დამ, კლარამ, მაჩუქა უბრალო მოსახვევი — ოფლი რომ მოგივიდეს, ამით შეიწმინდე ხოლმეო. იქ ხომ თავქვემ მედო და სათუთად მიმქონდა შუბლთან, საფეთქლებთან, ლავიწებთან.. მოსახვევი ახლა ჩემს ოთახშია, აქაც თავქვემ მიდევს. ძალიან ადრე რომ ვდგები, სხვებს რომ არ გაეღვიძოთ ჩემი საბაზანოში გასვლით, ფანჯარაში ვიფუცავ პირს, ვიმშრალავ მოსახვევით, მერე ვფენ ჩემსავე ტანსაცმელზე. უცნაურობაა — რო-

გორც რომ კარგი მელოდია, ეგრე მოდის სიყვარული ამ მოსახვევიდან ჩემსკენ...

ხევი

არა მგონია, მწერალს ვინმეს ღირსებოდეს ისეთი ჭრილობით სვლა, როგორც ყაზბეგს არგუნა ბედმა. მის დაბადებას ლებულობდა მყინვარი — უცხო ზვიადი, თეთრი და მთლად მიუკარებელი იანვარში. დაფიქრებული ლოცულობდა მსოფლიოს უნიკური — გერგეტის სამება. იდგნენ ირგვლივ კლდეები, ცაში ასულნი და სპეტაკნი, კლდეებშივე მიიმსხვრეოდა დაწმენდილი თერგი, მიახმაურებდა ყინულებს.

შემდეგ თბილისი. ქუჩაში — ხევის მმართველის, ლეგენდარული ფეოდალის ერთადერთი ვაჟი. თბილისიდან — მოსკოვში, სამეურნეო აკადემიაში. არის საამაო შეხვედრები, რაუტები, დემონსტრირება კლდეებისა და ღრუბლების შვილობის სიკისკასისა. აჭრილი ყოფა, მოთახთანე, თვით ჰაერიც კი, დევნილსავით ჩამობრუნდება სამშობლოში, კლდეებსა და ღრუბლებში ძებნა თავშესაფრისა, მწყემსობა. ბრკეციალა მუნღირების კრთობა მის მწყემსურ სამოსელთან. წლობით რეცხავენ მთის წვიმები მტერსა და ჭუჭყს, ჩასჩურჩულებენ ათასნაირ იღუმალებებს...

შემდეგ კვლავ თბილისი — ატაციებული, დააფრაკებული: თეატრი, ცეკვა ხანჯლებით... წერა შმაგური სისწრაფით, წერა მთებისა და ღრუბლების კარნახით. ახლართულ-დახლართული, დაწყვეტილი ნერვები. ამ ნერვების ხლართებს ველარ ართმევს თავს, პატარავდება და დაცვდომილი ხდება აშკარად. სულ წვიმსა და წვიმს, სულში. კანკალებს, კანკალებს მის მკერდზე მიხუტებული პატარა მაიმუნი ჟაკოც. ეს მწერლური ღერბია — პატარა მაიმუნი ხელში... ბოლოს — დახვევა მისი მტანჯველი ნაწერებისა და განთავისუფლება... სიკვდილი. აქ ერთხელ კიდევ მშვენიერდება, მშვენიერდება საბოლოოდ.

რა სურათია: ისევ ერთად — ის დაბლა, სიფრიფანა სახის, ხელებდაკრეფილი ვულზე. მყინვარი — მაღლა. სამების ტაძარი და ღრუბლებიც მაღლა. მღუმარედ ტრიალებენ მისკენ თავდახრილი არწივებიც მის ზემოთ...

* * *

„უპირველეს ყოვლისა, სული უნდა გრძნობდეს ბედნიერებას... მონობა სიკვდილია, თავისუფლება კი — სიცოცხლე და ბედნიერება“.

ვაჟა ფშაველას ეს სიტყვები ჰქონიათ დევიზად რადიო „თავისუფლების“ ქართულ გადმოცემებს.

უჩოხი, უჩოხი გვიცა



...ცისკენ აუწვდიათ ხელები ჭადრებს, თითქოს მისი სიმძიმისა და სიცისფრის შეკავებას ცდილობდნო. ალბათ ასეთს ხედავდა სარკმლის მიღმა მდგარ ხეებს სოსო წერეთელი. თვითონაც ხომ ცისკენ ხელებაწვდილ, შემოდგომის ფრთებდანაკრავ ჭადარს ჰგავდა.

...იმთავითვე სიმაღლისკენ მიილტვოდა... არ დასცალდა. თურმე სიმაღლესაც ჰქონია რუბიკონი, ლტოლვა-საც... ჩარჩობით ზღვარდადებულ სიმაღლეზე კაცი ვერ შესძლებს ფრენას... შესაძლებელია ინატროს მხოლოდ ფრთები. ფრთები, ფრთები გვინდა!

...მძიმეა ადამიანის ტვირთი. მაგრამ ორგზის უფრო მძიმეა ტვირთი ხელოვანისა, რამეთუ სულთან ერთად მას ხელოვნებაც აქვს ნატვირთი.

სოსო წერეთელს ფიროსმანის ეპოქაში რომ ეცხოვრა, ღრმად მწამს, მასავით ღუქანს გაყიდდა და ვარდებით ხელდამშვენებული მიადგებოდა თავისი „მარგარიტას“ აივანს. მერე ამოირჩევდა ძველი თბილისის რომელიმე უბანს და ქართული სულით გაჟღენთილ ტილოებს შექმნიდა. არ დაეცალეთ ფიროსმანობა ჩვენს გვერდით. იქნებ ზღვარგადასულიც იყოს ეს შედარება, მაგრამ ვინც სოსო წერეთლის ნამუშევართა გამოფენა ნახა, უმალ დარწმუნდებოდა მხატვრის ნიჭიერებაში, თვით-მყოფადობაში. ტილოები თავად ამბობდნენ სათქმელს. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ სოსო წერეთელს ოფიციალურად მკვლელის დამლა ადევს, რომელიც მას აუცილებლად უნდა ჩამოშორდეს.

საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობაზე დელეგატმა როინ მეტრეველმა ბრძანა: „ნუ დაგფარავთ იმასაც, თუ რატომ დაიხვრიტა მღვდელი ჩიხლაძე, ან იმ თვითმფრინავში მყოფი სხვა ახალგაზრდები, როგორ დაიღუპა წერეთელი“.

საქართველოს კომპარტია, ცხადია, არასოდეს გასცემს პასუხს ამ კითხვებზე. იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ახალარჩეული უზენაესი საბჭო, რომელიც დაინტერესდა აღნიშნული საკითხით, მალე უწოდებს სახელს ყოველ საგანს.

ახლა ორიოდ სიტყვა იმის შესახებ, რატომ ვერ იქნებოდა ან რატომ არ იყო მორალურად სოსო წერეთელი მკვლელი.

იოსებ (სოსო) კონსტანტინეს ძე წერეთელი დაიბადა 1958 წლის 1 მარტს. ამ წელს გაზაფხული სოსოსთან ერთად მოვიდა თბილისში. ამიტომაც იყო, ალბათ, რომ თბილისური გაზაფხულისა და იების სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა. ძირძველი ქართული გვარის — წერეთლების პირში, იმთავითვე, საქართველოსა და ყოველივე ქართულის სიყვარულის გარემოცვაში აღმოჩნდა. საუკუნეთა განმავლობაში შენარჩუნებულმა და ცეცხლგამოვლილმა ამ შტოს გენმა ნოყიერ ნიადაგზე იბარტყა. ასე ყოფილა მულამ: ვინც საქართველოსა და დედის სიყვარულს ბავშვობიდანვე ეზიარება, დიდი მწვერვალების დაპყრობასაც შესძლებს და ქვეყანასაც გამოადგება სიტყვითა და საქმით.

სოსო წერეთელი ისეთი რთული, მრავალმხრივი, არა-ორდინალური პიროვნება ყოფილა, რომ არა თუ ჩემთვის, მეგობრებისთვისაც ხშირად დარჩენილა შეუცნობი. ამ პიროვნების შეცნობა არც ახლაა ადვილი. იქნებ მისივე ტილოები დაგვეხმარონ ამაში... იქნებ ექვსი წლის სოსოს ეს ლექსიც დაგვეხმაროს?

ჩემო კარგო საქართველო,
ქართულ მზის შუქით ნათელი.
ჩემო ტურფა, საყვარელო
და ყველახთვის სანატრელო!
ჩემო მზიურო ქვეყანავ,
მარად ჩვენთვის სასახელო,
შენით ვცოცხლობ და ვამაყობ.
ჩემო კარგო საქართველო...








გფარავდეთ ღვთისმშობლის შადლი და
არ მოგკლებოდეთ
სარწმუნოება, სასოება
და სიყვარული.



წამი შესვენებისა.



სერგო ელიშვილი

უველაფერი შემთხვევითობამ გა-
ნაპირობა.

ეს იყო 1967 წელს. გაზეთ „ნორ-
ჩი ლენინელის“ კორესპონდენტი
მზია კოჭლავაშვილი 75-ე სკოლაში
ნორჩ ნატურალისტებზე კორესპონ-
დენციას ამზადებდა. მასალისათვის
სასწრაფოდ დასკირდა ფოტო. სკო-
ლაში მოსწავლეთა შორის მრავალი
ფოტომოყვარული აღმოჩნდა, მათ
შორის სერგო ელიშვირაშვილი. სერ-
გომ თავისი გადაღებული ფოტო
იმ დღესვე მიიტანა „ნორჩი ლენი-
ნელის“ რედაქციაში.

მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონ-
და, როცა მეორე დღეს თავისი ნა-
ხელავი გაზეთის ფურცლებზე იხი-
ლა.

იღბლიანი გამოდგა დებიუტი. ის
დღე იყო და სერგო ელიშვირაშვილს
ფოტოაპარატი არ მოუშორებია.

„ნორჩი ლენინელს“ „ახალგაზრ-
და კომუნისტი“ მოჰყვა, მალე „მო-
ლოდიოჟ გრუზიის“ ფურცლებიც
დაიჭაშნიკა მისმა ფოტოებმა...

დღითიდღე იზრდებოდა ახალ-
გაზრდა ხელოვანის თვალსაწიერი.

იხვეწებოდა და მდიდრდებოდა მისი
შემოქმედებითი ნუსხა.

შემდეგ ახალი ამბების სააგენტოს
საკუთარი ფოტოკორესპონდენტი,
1976 წლიდან კი საინფორმაციო სა-
აგენტოს „საქართველოს“ ფოტო-
კორესპონდენტი.

არაერთხელ მიუღია მონაწილე-
ობა რესპუბლიკურ, საკავშირო თუ
საერთაშორისო გამოფენებში. მისი
კოლექცია მრავალ ოქროს, ვერცხ-
ლისა და ბრინჯაოს მედალს ითვლის.
მსოფლიოს ას საუკეთესო ფოტო-
ჟურნალისტთან ერთად იგი მონაწი-
ლეობდა ამერიკული ფირმა „კო-
ლენსის“ მიერ ჩატარებულ აქციაში.

ჯაფხულში აშშ-ში (მოუწყობა
ს. ელიშვირაშვილის ფოტონამუშევ-
რების გამოფენა.

გამოსაცემად მზადდება მისივე
წიგნი — ფოტოალბომი, რომლის
ძირითადი თემა თბილისი და თბი-
ლისელებია.

ფოტობიექტივის თვალთ დანა-
ხული უოველდღიურობა სერგო
ელიშვირაშვილის ნიჭის თაყვანის-
მცემლებს არაერთხელ აზიარებს
კეშმარტ ხელოვნებას.

ნაყვარს შენი მიწა-წყალი.
 შენი ზეცა და ჰაერი.
 შენით ვცოცხლობ, შენით ვხარობ,
 შენით ვხუნთავ მე ქართველი.

ჩვეულებრივი ლექსია, ბავშვის გონებით პერიფრაზირებული. ბავშვური სიწმინდით დაწერილი. მისი პატარა ავტორისათვის ყოველივე ლამაზია და ნათელია ირგვლივ. ასეთივეა სოსოს ადრეული ნახატებიც, რომელნიც არაერთგზის დაუბეჭდავთ უფროსების „დილის“, „პიონერის“ გარეკანებზე, „საბჭოთა ხელოვნებაში“. მაგრამ დრო ხომ გადის... სოსოც იზრდება და გულისტკივილით ხვდება, რომ მთლიანად კი არა, საერთოდ არაა „ჰაერიც, მიწა-წყალიც“ საქართველოსი.

სოსომ 1975 წელს დაამთავრა დედაქალაქის № 23 საშუალო სკოლა. უთუოდ მოსწავლის თვლით დანახული სამყარო არ იყო სრულყოფილი იმის გამო, რომ მცირე რაოდენობით შეიცავდა სიმართლესა და რეალობას. მაგრამ მიუხედავად ამისა. საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს მიერ სოსო წერეთელი 1965-1975 წლებში არაერთგზის დაჯილდოვდა ოქროს მედლითა და სიგელით სხვადასხვა რანგის გამოფენებში თუ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებისათვის. ერთი სიტყვით, სანამ ბავშვი იყო, მისი მხატვრობის ნიჭი ადეკვატურ პატივისცემას იმსახურებდა. მაგრამ წლები გადიოდა და სოსოს ცნობიერებაც იცვლებოდა. უკვე ასეთი, ცნობიერებაზეცვლილი, მტკივნეულობამდე პატრიოტი ახალგაზრდა კაცი, თუ წაიკითხავდა ამ წერილის აღნიშნულ მონაკვეთს, ალბათ, შემრისხავდა იმის გამო, რომ სახალხო განათლების სამინისტროს „ჩინებულებზე“ დამცდა სიტყვა...

მის ნამუშევრებში ყრმობის ასაკიდანვე იგრძნობოდა სიმართლის თქმის ტენდენცია. სამყაროს თავისებურ ხედვას მხატვარი იყენებს დანახული სიმართლის გადმოსაცემად. სოსო ტილოებში უკვე გულისტკივილსაც აქსოვს, პოზიციასაც ამჟღავნებს, მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, ინარჩუნებს სიყვარულის გრძნობას, იცის, რომ ეს ერთადერთია, რაც სამყაროს გადაარჩენს, რითაც ბოროტი იძლევა. ქვეყანა ესე მხატვარ სოსო წერეთლის თვლით დანახული და მისი გონების პრიზმაში გადამტყდარი გვაკვირვებს უშუალოდ, გულწრფელობით, სიკეთისადმი დაუოკებელი ლტოლვით, ჭიუტი არდაჭერებით, რომ ბოროტება მეტია ქვეყანასა ზედა, ვიდრე სიკეთე...

მაგრამ სიტყვა გაგვიგრძელდა და კვლავ მივყვით ე. წ. მშრალ ინფორმაციას.

იოსებ წერეთელმა 1975 წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები სამხატვრო აკადემიაში და... დაიწყო „ომად შესვლა“. უკვე საკუთარი ხელწერის მქონე ახალგაზრდა მხატვარს პირველად უხდება თავისთავადობის, „მეობის“ შესანარჩუნებლად ღწვა. ერთი შეხედვით იგი ამ „ომად შესვლაში“ თითქოს მარცხდება (იყო ცდა გაერიცხათ აკადემიიდან და კომკავშირელთა რიგებიდან.

თუ იცით რის გამო? ღვთისმოსაობის, რწმენის გამო). მაგრამ რწმენა ხომ ერთადერთი მაღლია ადამიანისა, რომელიც შეუძლებელია გაანადგუროს მეორე ადამიანი. მართლაც, მწამებელმა შესაძლოა გვემოს „წამებული“, შესაძლოა მისი სიცოცხლეც ხელჰყოფს, მხოლოდ რწმენას ვერ გვემს და ვერ ხელჰყოფს. რწმენა ხორციისა და სულის ისეთი ჭიდობაა, რომელშიც ყოველთვის ის და მხოლოდ სული იმარჯვებს... მაღე იძებნება სხვა საბაბი სოსოს გასარიცხად და მას რიცხავენ. გარიცხვისა და ირგვლივ მყოფთა მიმართ სოსო პროტესტს გამოხატავს ნამუშევრით — „რა დავაშავ?“. მაგრამ მერე და მერე ნიჭი, რომელიც „მონების ქვეყანაში“ ფართო

გზას ვერ ღებულობს, დაუღალავად იკვლევს ამ გზას, თუმცა ამ გაცვლევის ფასი უდიდესია, რამეთუ სიმართლისადმი რწმენის დაკარგვის ტოლფასია იგი. „ბოროტმა სძლია კეთილსა“ დაჭერების ტოლფასია. 20-21 წლის ახალგაზრდის სულში, ცხადია, ასეთი დანაკარგი — სიმართლისადმი რწმენის დაკარგვა — ღრმა კვალს ტოვებს.

მიუხედავად ყველაფრისა, სოსო ამ დრამატულ პერიოდს თავის ცხოვრებაში ხვდება როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი; სახარება იქცევა მის ერთადერთ ნუგეშად. სოსო წერეთელი ძირისძირამდე შეიცნობს ბიბლიის სიბრძნეს. თავისი დანიშნულების, ათი მცნების, სიყვარულისა და თავისუფლების, „ომად შესვლის“ ფასს...

დაიხ. სოსო წერეთლის ქრისტესადმი სიყვარული ჭეშმარიტი იყო, რამეთუ მას ღმერთისადმი რწმენა ზნეობრივ კატეგორიამდე ჰქონდა აყვანილი.

ოდიოვანვე ასე ყოფილა: რწმენა მაცხოვრისადმი ზნეობასა ქმნის, ზნეობა კი მაცხოვრისადმი რწმენას...

სოსო წერეთელი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც რუღუნებით თავს ევლებოდა ჯერ შიო მღვიმის სატაძრო კომპლექსს, ხოლო მოგვიანებით 1976-1977 წლებში ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობდა. მოვიძიოთ ოფიციალური საბუთი, რომელიც მის შესახებ მოგვითხრობს: „იოსებ კონსტანტინეს ძე წერეთელი... თავისუფალ დროს აკვარელით ხატავს ანდომებდა, დიდი გატაცებით ეძებდა ფერებს, ხაზავდა პეიზაჟს, ხოლო არქეოლოგიური გათხრების ფერებში შესრულებული მისი ზოგიერთი ნახატი მეცნიერული დოკუმენტის ღირებულების მქონეცაა. იოსებ წერეთელმა თავისი გულმოდგინებით, უაღრესად მაღალი კეთილშობილური ბუნებით და ზრდილი ქცევით, ისევე როგორც წინა წელს, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრთა საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. არქ. ცენტრის და არქ. ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფ. ო. ლორთქიფანიძე“.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის რეზიდენციაში დღესაც ვნახავთ სოსო წერეთლის ფერწერულ ნამუშევარს — „ქრისტე“, როგორც უშუალო საბუთს იმისა, რომ უსამართლობითა და უსამართლობასთან ბრძოლით დაღლილმა მხატვარმა დედა-ეკლესიის მფარველ კალთასთან მიიღრიაა თავი და სულის გადარჩენაში შემწეობა სთხოვა.

როცა თვალს გადაავლებ 25 წლის კაცის მიერ განვლილ გზას, უთუოდ განცვიფრების გრძნობა ავითანს, უთუოდ სინანული შეგიპყრობს, მართლაც რომ „რა დავაშავ? რატომ გავიმეტეთ?“... უთუოდ ბნელეთის მოციქულის ხელია ჩარეული ყოველმხრივ განათლებული ინტელიგენტის, უნიჭიერესი მხატვრის მკვლელად მონათვალში და...

1980-1981 წლებში სოსო წერეთელი მუშაობას იწყებს სახვითი ხელოვნების კათედრაზე თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამასთან, ერთი სემესტრის მანძილზე საოცარი შთაგონებით კითხულობს ლექციებს ხელოვნების ისტორიაში, რომელსაც, მიუხედავად დაუქინებით თხოვნისა, აღარ აგრძელებს: სპეციალური განათლება არ მიუღია და უხერხულიაო.

ინებეთ, ნიჭიერი პიროვნების კიდევ ერთი გაუხსნელი მხარე! ვინ უწყის, პლანეტის რომელ კუთხემდე გაუთქვამდა თავის მიწას სახელს ეს ახალგაზრდა კაცი. დღეს კი უკვე მერამდენედ უნდა ვთქვათ: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?“

ილია გავიხსენოთ და მისი „დიდოელი ლეკის ნაბადი“...

ჰაი-ჰაი რომ დღემდე ვთელავთ და ვკორტნიოთ...

1983 წლის 18 ნოემბრის ტრაგედიამდე სოსო წერეთელი ერთხანს მუშაობდა სოფ. მარტყოფის სკოლა-ინ-



სია ჩიანელის სილო სტუე

დავინწყებული სახელები

დია ჩიანელის პირველი ნაწარმოებები ქართულ პრესაში ერთბაშად გამოჩნდა. გეოგრაფიკული მიწათმშენებლობა და ნოვალაჟები. დაწერა პიესები, მოთხრობები, რომანი „გიონ დარანა“, პუბლიცისტური წერილები. წლების განმავლობაში სთავაზობდა ელვა ჟურნალის მფარველთა კავშირს. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდა მწერალთა აღზრდის საქმეში. აწარმოდა მაცნეობის მუშაობას და კითხვობრივ ღვაწლს მათთვის კავშირის პადავობის ინსტიტუტში.

ვასილ გვებაძე

საიდანაა ეს სილაღე, სიხარული, უჩინო და თვალთ დაუნახავი, ასე რომ დაუფლებია ამ ხალხს. შიშია? ხათრია? თუ ორივე ერთად, ან კიდევ სხვა ამნაირი რაღაც?

არადა, არაფერია ასაჩქარებელი და თვალის დახამხამებაში გასაკეთებელი. ჩვეულებრივი ლიტერატურული სადამოა მხოლოდ ჩასატარებელი ქალაქის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში.

დიახ, ჩვეულებრივი ლიტერატურული სადამო! მორჩა და გათავდა... მივედით, დავსხედით და დავლაგდით. მოსულთა და დამხვდურთა შორის, ღმერთის წყალობით, არიან ლამაზი სიტყვის მთქმელები, მაგრამ „ის“, ხაკის მწვანე ხალათში გამოკრული და წელზე მაგრად ქამარმომოჭერილი პიროვნება, მწერლობაში თვალის მოსავლებად და მოსაყურებლად რომაა შემოგზავნილი, ვის დააცლის. მართალია, შეხვედრას დია ჩიანელი წაუძღვა. თუმცა სეფე-სიტყვა მაინც „იმან“ თქვა.

რა ვქნა. შევიღ-ძირისა მერიდებდა და სახელს ვერ ვუხსენებ, თორემ მისი გვარ-სახელი სახსენებელი და

ყოველთვის მშვიდი და აუჩქარებელი დია მწერალთა ერთ ჯგუფს წამოუძღვა. ფეხით სიარული გვიჩიხა, რაკი საქალაქო ტრანსპორტი არცთუ ისე სახარბიელოდ მუშაობდა.

თითო-ორი ავტობუსი აიქროლ-ჩაიქროლებდა ხოლმე დროდადრო, ისიც ქალაქის ცენტრში, „ბულვარის“ კიდევ, ძველი თეატრის წინ. სამაგიეროდ, ზარების ქლარუნით ჩამოვლილი დილიყანი და კონტად გამოკოპწიალებული ფაეტონი ახარებდა თვალს.

მოდიოდა მომურებული, ჭაბუკურად გალაღებული დია ჩიანელი — დავით ჩხეიძე, ყველა სასიკეთო წამოწყების გული და სული, პროზაიკოსი და დრამატურგი, მეცნიერი.

რომელმაც ბარეორ ახალგაზრდას გაუკვლია გზა ცხოვრებაში.

ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის ბიჭებს, რასაკვირველია, არ გაგვიჭირდებოდა მის კვალობაზე სიარული. ქრისტესავით ჩანდა ჩვენს შორის დომენტი თომაშვილი, ხანდაზმული, მსცოვანი პოეტი, თავის დროზე დიდი აკაკის მიერ შექმნილი და დამოკვილი.

გახარებულთა ერთიანად თმაგათეურებული, სათნო მოხუცი კაცი. საკითხავია, რითია გამოწვეული ეს სიხარული ამ ცოდვილიან დროში?

ანდა თვითონ დია რამ აღაფრთოვანა ასე? რატომაა ამნაირად შეხალისებული? თანაც რა გუნებეირად ესალმება გზაზე შემოგებებულ ნაცნობებს.

საშეკარაოზე გამოსატანი კია. ამ-
ბობდნენ. შავი კაციან, დამსმენი
და ხელიდან წასული. სწავლა-განათ-
ლებაზე რომ ცოტა მწყურალად იყო,
სადაო არაა. ნიჭი და ღვთის მადლიც
არ წყალობდა მაინცდამაინც.

ბევრი უნაირო ადამიანი აგვიტა-
ნია და, ალბათ, მომავალშიც ავი-
ტანთ. დამსმენი და მამბეზლარა კი
ძნელი ასატანია. ამნაირი ხელობის
არაკაცი ძნელი ასატანი ხდებოდა
მით უმეტეს მაშინ, იმ წლებში, რო-
ცა უბრალო დამსმენის „დანოსით“,
სულერთია. ხელმოწერილი იყო ეს
„დანოსი“ თუ ხელმოწერილი, ასო-
ბით და ათასობით პატიოსანი ადა-
მიანი იღუპებოდა.

ერთი სიტყვით, დაიწყო „იმან“
და, როგორც ხალხი ამბობს, მოედო
ქვა და ყორეს. ილაპარაკა და ილა-
პარაკა. იკითხა და იკითხა ლექსები
შრომაზე. მშენებლობაზე, ინდუსტ-
რიულ ქუთაისზე, რიონზე, ყვე-
ლაფერზე, რასაც კი ახალი ცხოვრე-
ბა ერქვა და ოფლის სუნი ასდიოდა.
არც ჩვენ, უსახელონი, დავრჩე-
ნილვართ ვალში სახელიანებს. ჩვენც
ჩვენი სათქმელი ვთქვით რიხიანად,
აწეულ ტონში. ისე, როგორც ღრო-
ებას შეეფერებოდა.

დიამ კი, რომ იტყვიან, ბანკი მო-
ხსნა. შეშინებულმა თითქოს იმით,
სხვებმა არ დამასწრონო, გული პირ-
დაპირ მკერდიდან ამოიღო და პეშ-
ვი მიაფარა.

წყალგაუთვალა: ხიფათის მოლო-
დინში იყო, უუქველად რალაცის
ეშინოდა. ასე მგონია, ამით, ამ მო-
ძალბული სიხარულით, უნდოდა
როგორმე გაენელებინა ეს შიში და
თავისთავში ჩაეხშო ფიჭვი სიკვდი-
ლივით აუცდომელ და გარდაუვალ
უბედურებაზე.

ვეწერ ამ სტრიქონებს და თვალ-
წინ მიდგას ფერმკრთალი სახე, ზო-
მაზე მეტად აზნებულო, მობზინვა-
რე. ის ყელში წაჭერილი შეძახილიც
გასაგონია — „ჩვენს მომავალს გაუ-
მარჯოსო“. მშობლიური, მამაშვი-
ლური სიტბოთი რომ ამოდიოდა
სანთელივით სუფთა სულიდან.

ცოცხლებდა ის ღღე, ის სალამო,
თითქოს მხიარული, თითქოს უღრუ-
ბლო და უხინჯო, სიცოცხლითა და
სინათლით ამოვსებული.

მაგრამ იცოდე, მოგონილია ყო-
ველივე ეს... ეს მხიარულება, ქება-
დიდება იმისა, რისიც არ გგერა. ბო-
ლოსდაბოლოს, მოსაზრებელია
ეს ლამაზი სიტყვებიც. და არაფერია
მაზე უფრო მომღლეო, როცა
არ გეცინება და იცინი!..

შეხვედრიდან სხვა შეხვედრაზე
გადაგვიწვიეს. შემძლე, პურ-მარი-

ლიან ოჯახში, იქვე, ბიბლიოთეკის
ახლოს, სუფრა უკვე გაეშალათ.

საამოდ მობაასე დია შიგადაშიგ
სახუმარო ანეგდოტებსაც ჩაურთავ-
და ხოლმე.

— გულჩახურული და ღრჭუ არც
აქამდე ბრძანებულხარ. დია ბატო-
ნო, მაგრამ ამ სალამოს კიდევ უფრო
უკეთესი ხარ, — შეეხმინა შაპრუხ
ჩარკვიანი თავისი ხრინწიანი ხმით.

მთვარესავით თეთრი და პირსავე
დია თავისივე თავმა გათქვა:

— კი, ნამეტანი კაი ხასიათზე ვარ
და, ამიტომ ვლაპარაკობ ამდენს.

შაპრუხ ჩარკვიანს განსაკუთრე-
ბულ პატივს ცემდა დია ჩიანელი.
თითქმის ერთი ხნისანი იყვნენ. ერ-
თად შემოსულან მწერლობაში. დიამ
რომ „გიონ დარანა“ გამოსცა — ეს
ვრცელი პოეტური რომანი, შაპრუხს
სწორედ მაშინ დაუბეჭდავს თავისი
ლექსების პირველი წიგნი „ქვე-
მძრომთ პარადი“.

სიყმაწვილეში დაწყებული მეგობ-
რობა, მოწიფულობის წლებშიც გად-
მოჰყოლიათ. სადაც დია წავიდოდა,
შაპრუხიც იქ იყო, ტანმორჩილი,
ჩია, კისერზე ყოველთვის განუყრე-
ლი ყელსახვევით შემოფუთული.
თავის მომვლელი კაცი გახლდათ,
მაგრამ წარამარა კი ცივდებოდა.
ჩახრინწული ხმაც ამის გამო ჰქონდა.

— არა, რალაც ამბავია ჩემს თავს,
თორემ ამნაირი აცეტება გაგონი-
ლა? — ხმამალა, ყველას გასაგო-
ნად ჩაილაპარაკა დიამ.

მერე ვილაცამ რალაცა თქვა, თით-
ქოს სასაცილო, სამხიარულო, იმ ვი-
ლაცას სხვა ვილაცა შეეპასუხა. ვი-
თომ ჩვეულებრივად წავიდა ლხინი,
მაგრამ სუფრამ თავისი პეწი დაკარ-
ვა.

ეს იყო და ეს. დიამ უცებ მოიწ-
ყინა. სუფრაც მალე აიშალა. მასპინ-
ძლებმა კონდრიან ეზოზე გადმო-
გვატარეს.

ეზოსთან, ქუჩის პირზე, ეტლი
იღვა — წინასწარ დაებეჭებინა იგი
თადარიგიან ოჯახის უფროსს.

და აი ეტლში ჩაჯდა დია ჩიანელი,
გვერდით დომენტი თომაშვილი,
შაპრუხ ჩარკვიანთან და „იმ“ გამო-
რჩეულ კაცთან ერთად.

შევატყვე, თბილმა და სიკეთით
სავსემ, გადმოიხედა ჩვენკენ, ეტლის
გარშემო შემოქარული ახალგაზრ-
დებისაკენ. ხელი გამოსამშვიდობებ-
ლად დაგვიჩნია და მეეტლემ ცხე-
ნები აღვილიდან დაძრა.

...ქალაქის ძველ უბანში, ოლას-
კურას რომ ეძახიან, ამოცარიელე-
ბულ ოღრო-ჩოღრო ქუჩაში. რიყით
მოგებულ ქვაფენილზე, კაქუნით

გაისმა გაქროლილი ეტლის ხრიგი-
ნი და ცხენის ნალების მკახე ხმა.

ტყუილად არ უთქვამს დიას, რა-
ლაც ამბავია ჩემს თავზეო. იმ ღამეს
მართლაც სხვა ამბავი დატრიალე-
ბულა მის ოჯახში. დაუპატიმრებიათ
დია და ცოლ-შვილი უპატრონოდ
გამოუყრიათ გარეთ.

გინდა დაიჭერე, გინდა არა. ვისაც
როგორ მოესურვილება, ისე შეაფა-
სოს ის ამბავი. ახლა რომ მოვყევი.

ერთი რომ კი ცხადია:

სული და ხორცი, თურმე, აღრი-
ანად გრძნობს მოახლოებულ უბე-
დურებას. ნამეტან მხიარულებას ნა-
მეტანი მწუხარება ცოდნია.

ეს ამბავი ზუსტად ორმოცდათხუთ-
მეტი წლის წინათ მოხდა.

მართალია, მას შემდეგ ბევრმა
წყალმა ჩაიარა, მაგრამ არც ისე დი-
დი ღროა გასული. მწერლის სახელს
ბინდი და მტვერი დასდებოდა.

არადა, დასავიწყებელი არაა ბევ-
რი სახელი და ვივიწყებთ. მტვერი
არ უნდა ედებოდეს ოსტატის ნამო-
ღაწარს და ედება.

ამ ღღეშია დია ჩიანელიც. გარე-
წარი არამზადების ხელით დაღუპუ-
ლი შემოქმედი.

„ერთი მოთხრობის“ სერიით „ნა-
კადულმა“ გამოსცა მისი მშვენიერი
„თაღუმა“. გამოქვეყნდა. თუ არა
ვცდები, ერთი-ორი მცირე მოკუ-
ლობის წიგნი. პერიოდულ პრესაში
დაიბეჭდა ერთი-ორი „სათარილო“
წერილიც... უნდა ითქვას, საკმაოდ
მშრალი და არაპროფესიული.

სამწუხაროდ, ბევრის დაწერა არ
დასცალდა, მაგრამ რაც დაწერა,
ნაღდია და ხალასი.

დია ჩიანელის თხზულებათა ხეი-
რიანი კრებულია გამოსაცემი —
ხელში რომ აიღებ და არამარტო
მხატვრული ღირსებებით. შესახე-
დაობითაც გაგიხარებს გულს. ვრცე-
ლი, ადამიანური მონოგრაფიაცაა
დასაწერი მის ცხოვრებასა და შე-
მოქმედებაზე.

დაე, შთამომავლობამ მეტი სიღრ-
მითა და სიყვარულით ჩაიხედოს
მის ნათელ სულში.

სიანტლის ეთჟელუს ჟჟუს ესპრიან

ვლადიმერ სოლოვიჩინი

გამარჯვების ომობი წლის თავზე საშა კოსიციუს ვესტუმრე. საბჭოთა კავშირის გამორს მდინარე დუნაის ფორმირებისათვის (მაშინ ოცი წლის მეტყვიამფრქვევე იყო).

— ცხრა მაისს მისი სახლის კარი მუდამ ღიაა და სუფრაც მუდამ გაშლილი. ეს კი მეორმოცე წლისთავი იყო. ჩვენ კარგად მოვუხიხინეთ იმ დღეს. ანაზღად საშა აფორაქა: „მე ხომ ლიტერატორთა სახლში უნდა მოვსულიყავი. იქ ომის ვეტერანი მწერლები შეგროვდებოდნენ. შენც უნდა წამოხვიდე“.

— კი მაგრამ. მე ხომ ვეტერანი არა ვარ. მხოლოდ კრემლს პოლკში ვმსახურობდი.

— სულ ერთია. მაინც უნდა წამოხვიდე.

იქ ასაკიანი სუფრა თითქმის დაშლილი დაგვხვდა. მაგრამ სადღეგრძელოებს ჯერ კიდევ ამბობდნენ. დალიეს კრიუჩკინის. კარპუკის სადღეგრძელო. უკვე შემთავრალი აღშფოთების გრძობამ შემიპყრო. დავავლე სავესე ჭიქას ხელი და მიკროფონთან მივედი.

ეს როგორ იქნება. ფრონტლებო. კრიუჩკინს გაუმარჯოს და გაუმარჯოსო. თუ მთავარსარდალი არ გყოლიათ? აბა წარმოიდგინეთ. ფრანგებმა მოსკოვის აღების დღე იზიმიონ. ნაპოლეონის სახელი კი არ ახსენონ. ჩემი წინადადებაა. შევსვათ მთავარსარდალის, ვენერალსიმუს იოსებ სტალინის სადღეგრძელო.

შეკრებილთა ნახევარმა ალტაცება გამოთქვა. ნახევარი შემცბარი ჩანდა. ცოტა ხნის შემდეგ პერედელკინოს ბილიკზე ელიზარ მალცევს შევხვდი.

— მითხრეს, სტალინის სადღეგრძელო შევისვამს. ამის შემდეგ რა ღირსი ხართ კაცმა ხელი ჩამოგართვას.

— ასე ხომ! რამდენადაც მახსოვს; სტუდენტობისას სტალინურ გალაქურ რომანებს სწერდით და ერთში სტალინური პრემიაც კი მიიღეთ, მაგრამ არც პრემიაზე გითქვამთ უარი და არც მე შემიწყვეტია ამის გამო თქვენთვის სალამი.

ერთ-ერთ ნაკვესში მთლიანად გადმოვიწერე ვიაზნიკელი ბორის სიმონოვის ლექსი. პერედელკინოს შემოქმედებით სახლში ცხოვრებისას ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩემთან. მეტისმეტად იზიდავდა ჩემი წიგნის თაროები. ხანდახან საქმეებზე რომ წავსულვარ, ხშირად დამიტოვებია შინ, იქდა მთელი დღე და კითხულობდა. დიდი არაფერი

ბიბლიოთეკა მქონდა, რადგან ბიბლიოფილს ჩემს თავს ვერ დავარქმევდი. მაგრამ საზღვარგარეთიდან ხანდახან ჩამომქონდა ხოლმე რუსული წიგნები, რომლებიც საბჭოთა ადამიანებისათვის აკრძალული ხილი გახლდათ (ვიღაცამ გახადა). ბორისმა ნახა ჩემთან გუმბილევის ოთხტომეული. ახმატოვას, მანდელშტამის სამტომეულები, ცვეტაევას ოთხი ტომი, ჩვენთან გამოუქვეყნებელი ბუნინის, ბორის ზაიცევის, ნაპოკოვის, ზამიატინის, გეორგი ივანოვის, ვლადიმერ სოლოვიოვის, ბერდიაევის, სერგეი ბულგაკოვის, ფრანკის, ლოსკის ნაწარმოებები, კლიუევის, ზოდასევიჩის ორტომეულები, რემიზოვის, როზანოვის, ტრუბეცკოვის, სოლჟენიცინის წიგნები...

ბორის სიმონოვმა წერილი მომწერა.

„...შევეცდები მაისში ისევ ჩამოვიდე პერედელკინოში — არა და არ მშორდება თქვენი ბიბლიოთეკა გონებიდან. სამწუხაროა, რომ ეს საოცარი წიგნები სიყმაწვილეშივე ვერ წავიკითხე...“

ამ მაგალითზე განა აღშფოთებით და წყევლით არ უნდა წამოვიძახოთ: „ვინ და რა უფლებით მოსწყვიტა რუსების მთელი თაობები რუსი მწერლების კითხვის შესაძლებლობას და ამით ცოცხალი ძარღვი გადაუჭრა მთელ თაობებს, მაკრატლით ამოაჭრა მშობლიური ისტორიის, ლიტერატურის, ფილოსოფიური აზრის მთელი პერიოდები? ვინ იყო დაინტერესებული, რომ ადამიანთა მთელი თაობები აღზრდილიყვნენ და ჩამოყალიბებულიყ-

ვნენ რაც შეიძლება დაჩლუნგებული. უტვიზონი. გაუნათლებელი. ერთფეროვანი, პრიმიტიული, დაჯანბნებული და, ამის კვალად, უფრო მორჩილნი და თვინიერნი? ვინ დავგესვა სულეირად მშვიერ ულუფაზე მთელი ათწლეულების მანძილზე? და განა მხოლოდ წარსულში?“

ჩემი კოლეგა პერედელკინოში ცხოვრობს. აგარაკზე. წლების მანძილზე სულ საჭმლის გეჭების კეთებაში იყო ციყვებისა და წიწყანებისათვის. ამ გეჭებში ყოველდღე ჰყრის ხოლმე მზესუმზირას და ციყვებიც. ხუთიოდე თუ ექვსიოდე, ჩამორბიან ხოლმე. აქნატუნებენ მზესუმზირას და ცელქობენ თავიანთი კეთილისმყოფლის გულის გასახარად, ანაზღად საიდანღაც გამოტყვრა ქორი-უზარამზარი და ლამაზი. დააცხრა ერთ ციყვს და გაიტაცა. ალბათ მიხვდებოდით, რარიგ აღშფოთდებოდა მწერალი. მან თოფი დატენა და მერე თავის მეგობარს გაუზიარა, ამ მტაცებლის მოკვლა მინდაო. მეგობარმა კი არ მოუწონა:

— კი ცოდვაა ციყვი, მაგრამ აქაურ ტყეში ათობით და ათასობით ციყვია, შენ კი შეიძლება ამ არემარეში უკანასკნელი ქორი მოჰკლა.

მიხაილ ნესტეროვს ერთი სურათი აქვს, შეიძლება ითქვას, რუსული ფერწერის მარგალიტი. სინამდვილეში ეს „მხატვრის ასულის“ პორტრეტია, მაგრამ ცნობილია, როგორც „ასული ამაზონურ კაბა-

ში". იგი ერთ-ერთი პოეტური სურათია. მხატვრულად რომ განაზოგადებს მეოცე საუკუნის დასაწყისის რუსი ქალიშვილის საქმეს. ნესტეროვის ერთ-ერთ მონოგრაფიაში ვკითხულობთ: „სახის ლამაზ ნაკვთებში, მეტყველ ხელებში, მის წერწეტ, ნაზ მოყვანილობაში იგრძნობა ის სულიერი წყობა, ცხოვრების ყაიდა, ახალი საუკუნის დამდეგს განათლებული წრის რუს ასულებს რომ სჩვეოდათ. ამ ქალიშვილს უყვარდა ნესტეროვის სურათები, წაკითხული ჰქონდა ბლოკი, უსმენდა სკრიაბინს, ნახული ჰყავდა აისიდორა დუნკანი, ისევე როგორც ლევიციის გმირებს მალულად ჰქონდა წაკითხული ვოლტერი, მოსმენილი „საიდუმლო ქორწინება“, უკრავდნენ არფაზე და სამეჯლისო პასტორალებს ცეკვავდნენ.“

მოკლედ შეიძლება ითქვას, ეს განსაზოგადებს რუსი ქალიშვილის იდეალური სახე...

და აი გუშინ ტელეფონით საუბრისას „ამაზონელი ასულის“ ქალიშვილისაგან ანუ ნესტეროვის „შვილიშვილი ირინა ვიქტოროვნასაგან შევიტყვე, რომ ეს „ამაზონელი“ ორმოცდათორმეტი წლის ასაკში 1938 წელს დაიჭირეს, გადაასახლეს და იქიდან სახიჩარი, ყავარჩენებზე დაყრდნობილი ჩამოვიდა.

განა მხოლოდ ეს ფაქტი, სხვა მილიონობით მსხვერპლსა და შიმშილით დაღუპულ მრავალ მილიონ უდანაშაულო ადამიანებზე რომ არაფერი ვთქვათ, განა მხოლოდ ფაქტი დიდი რუსი მხატვრის ნესტეროვის ასულის ამბისა, არ კმარა იმის გასაგებად, რა ხელისუფლებასთან, რა სახელმწიფოსთან გვექონდა საქმე ათწლეულების მანძილზე? უნდა ვადიდოთ თუ ვწყევლოთ ეს ათწლეულები?

* * *

ტროცკი, რომელმაც ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე უსაშინელესი ტერორი გააჩაღა, მსგავსი რამ კაცობრიობას თავის ისტორიის მანძილზე რომ არ უნახავს, ვის სინდისზეცაა მილიონობით ადამიანების სიცოცხლე, თანაც ყველაზე კეთილთა, ლამაზთა, საუკეთესოთა და სრულიად უდანაშაულოთა, ეს ტროცკი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში თურმე კურდღლებს აშენებდა და როგორც ამბობენ, საოცრად ნაზად უყვარდა ისინი.

* * *

როგორც ცნობილია, პირველი პოლიტიკური რუსი ემიგრანტი თავადი კურბსკი იყო. ივანე მრისხა-

ნისადმი მიწერილ წერილში თავისი ემიგრირების მიზეზების ახსნისას იგი ბრალს სდებს მეფეს, რომ მან „ჩაკეტა კარნი რუსეთის მიწისა და შეზღუდა ადამიანის თავისუფალი ბუნება. ვითარცა ჯოჯოხეთი“. შეიძლება კი გავამტყუნოთ რევოლუციის პირველი წლების რუსული ემიგრაცია, როცა, ესრეთ შეიზღუდა ადამიანის თავისუფალი ბუნება“, როგორი შეზღუდვაც კურბსკის არც დაეისიზმრებოდა?

* * *

1941-1945 წლებში ომის დროს მილიონობით საბჭოთა ჯარისკაცი აღმოჩნდა ტყვეობაში. მაგრამ ყველა ტყვე სამშობლოში დაბრუნებისას, ჯერ ერთი, საგანგებო შემოწმებას გადიოდა. მეორეც — ბანაკებში ხვდებოდნენ: დიახ, გერმანელთა ბანაკების შემდეგ საბჭოთა ბანაკებში. სინამდვილეში ყველა ტყვე სამშობლოს მოღალატის დასს ატარებდა, ცნობილია, რომ სტალინთან მოლაპარაკების შედეგად ინგლის-ამერიკის სამხედრო ხელისუფლებამ ომის შემდეგ საბჭოთა მხარეს მილიონზე მეტი ტყვე ჩააბარა, რომლებიც ავსტრიის პატარა დაბაში ეშელონებში ჩასვეს და პირდაპირ ციმბირის გზას გაუყენეს. ბევრმა ვაგონის კიბეზე მოიკლა თავი, ჰოდა, ამასთან დაკავშირებით, აი, რა მომდის ფიქრად.

როცა თურქებთან ომი იყო და სუვოროვმა იზმაილი აიღო, სამშობლოს არც ერთი მოღალატე არ აღმოჩენილა. როცა შვედებს (ნარვა, პოლტავა) ვეომებოდით, არც იქ ყოფილა სამშობლოს მოღალატე. ნაპოლეონთან ომის დროსაც არ გამოჩენილან სამშობლოს მოღალატეები. რუსეთ-თურქეთის ომში, როცა ბულგარეთს ვათავისუფლებდით, ერთი მოღალატე არ ყოფილა. არც 1904 წელს იაპონიასთან ომში გვეყოლია სამშობლოს მოღალატეები, არც გერმანიასთან 1914 წლის ომში. მაშ, საიდან და რა მიზეზით აღმოჩნდა უეცრად მილიონობით მოღალატე?

* * *

ძველად იყო ასეთი ცნება — „დემინაცია“. სიტყვა „ათი“-დან წარმოებული, დეციმეტრი, დეკადა და ა. შ. დემინაცია ერქვა აჯანყებული ჯარის ანუ ურჩი ხალხების დამორჩილების ხერხს ყოველი მათე კაცის მოკვლით.

ერთმა მკითხველმა წერილში ვარაუდი გამოთქვა: იგივე ხომ არ ხდებოდა 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ოქტომბრის პირველი წლების მანძილზე ჩვენი ხალხის თავს, ანუ ეს სისხლიანი ტერორი, გლე-

ხობის ათი პროცენტის განადგურება კოლექტივიზაციის დროს? მაგრამ არა, აქ უფრო საზარელი რამ იყო, თან მოკლულთა რიცხვიც (დაახლოებით 60 000 000) სულაც არ გახლდათ რუსი მოსახლეობის 10 პროცენტი. როცა ყოველ მეათეს კლავდნენ, ეს კეთდება, შეიძლება ითქვას, შერჩევის გარეშე, რუსეთში კი ანადგურებდნენ საზოგადოების საუკეთესო ფენებს, ჯერ იმითომ, რომ თვით საზოგადოება განადგურებულიყო და ადამიანები ბრბოდ ექციათ, რომ მოესპოთ, რაც შეიძლება მეტი გენეტიკური და ბიოლოგიური მასალა, რათა ხალხი არც მომავალში აღმსდგარიყო.

მაგრამ, რა თქმა უნდა, დემინაციაც ჰქონდათ მხედველობაში.

* * *

მეცნიერებამ და მკვლევარებმა საოცარი თავისებურება აღმოაჩინეს იმ მწერებსა, ფრინველებსა და ცხოველებში, დიდ-დიდ საზოგადოებებში რომ ცხოვრობდნენ. თურმე თუ ცოტანი არიან, ამა თუ იმ სახეობის წარმომადგენლები, ისე იქცევიან, როგორც ცალკეული ინდივიდუუმები, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვთ. ხოლო ისეთი არსებანი, როგორც ჭიანჭველები და ფუტკრები არიან, ცალ-ცალკე უოჯახოდ, უსაზოგადოებოდ უბრალოდ იღუპებიან... იქნებ იმის შეგნების გამო, რაოდენ არარა და უპერსპექტივოა მათი არსებობა.

ფრინველები არ იღუპებიან ინდივიდუალური არსებობის დროსაც. მაგრამ როცა ერთ დიდ გუნდად შეიყრებიან, როცა წარმოიშვება ე. წ. კრიტიკული მასალა, გუნდი უეცრივ ზეორგანიზმად გარდაიქმნება და ზეგონებას ანუ „დიდ გონებას“ იძენს, როგორც მეცნიერები უწოდებენ. აგერ მოცურავს პატარა თევზების ვეებერთელა გუნდი. ანაზად ყველა ერთად, ერთდროულად იცვლის მიმართულებას. არა იმითომ, ბელადს ემორჩილებიან, არამედ საერთო იმპულსის კარნახით. ზუსტად ასევე იცვლის გეზს მძლევართა გუნდი თუ კალიათა გროვა. არა მაგალითის გამო, არა ერთმანეთის მიყოლებით, არამედ ერთდროულად და თვალის დახამხამებაში, ანუ ისე, როგორც მოიქცევა ერთი მთლიანი არსება.

ხოლო თუ შეამკირე გუნდის (გინდ ჯოგის, ხროვის) რაოდენობა, მაშინ გარკვეულ მომენტში, კრიტიკულ მასაზე დაბლა დასვლისას „დიდი გონება“ ქრება და დარჩენილები უმწეო, გადასაშენებლად განწირულ არსებებად იქცევიან.

უეჭველია, რომ ეს „დიდ გონებაზე“ კრიტიკული მასის დროს ადამიანებსაც უჩნდებათ, როცა ადამიანები მრავალრიცხოვანი ხროვის ნაცვლად თავს ერთ მთლიან არსებად, ერთ მთლიან ხალხად იგრძნობენ, რომელთაც ერთი იდეალები, ერთი ისტორიული მიზნები და მისწრაფებები აქვთ, ანუ ერთ იქცევთან. მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს: თუ ადამიანები კრიტიკული მასის წერტილის ქვემოთ დაიყვანე, გაუქრობ ამ „დიდ გონებას“ და ერთი მთლიანი ორგანიზმის ნაცვლად უმწეო, ტვინდაბნეულ ინდივიდებად გადააქცევ; უსაქმურებად, ჯიბვირებად, ლოთებად, სულიერების ნასახივ რომ არ გააჩნიათ.

სამისოდ ხომ არ იყო მიმართული ოქტომბრის შემდგომი წლები-სა და ათწლეულების ის საზარელი ტერორი, რომელმაც როგორც ამბობენ, ომს თუ არ ჩავთვლით, 70 მილიონი რუსის სიცოცხლე შეიწირა. გენოციდის ყველა თეორიაში განა ტყუილად იხსენიება სიტყვა „ბიომასა“.

* * *

ქართველებმა მიამბეს: დიდი მთავარი მიხეილი, რუსეთის უკანასკნელი ხელმწიფის ძმა, ტფილისიდან საქართველოს სამხედრო გზით მიემგზავრებოდა და ერთ ღუქანში გაჩერდა წასასაუზმებლად. მედღუქნე დიდი სიხარულით გაუმასპინძლდა და გემრიელადაც დააპურა.

— მე მეფის ძმა ვარ. რა გჭირდება? ყველაფერს გაგიკეთებ!

— მე არაფერიც არ მჭირდება. მიუგო საზრიანმა მედღუქნემ. — ოღონდ ამას კი გთხოვთ: პეტერბურგში რომ ჩაბრძანდებით, ტელეგრამა გამომიგზავნეთ: „მშვიდობით ჩავედი. დიდი მთავარი მიხეილი“.

ამბობენ, ეს ტელეგრამა მედღუქნეს მინის ქვეშ კედელზე ევიდა ყველა მისი მუშტრის გასაკვირვებლად.

* * *

აი, რა გვიყო ცენტრალიზებამ. სტუმრად ვარ შუა რუსეთის ერთ-ერთი ოლქის პირველ მდივანთან, ანუ ოლქის მთავარ გამგებელთან, ძველებურად გუბერნატორთან. ლაპარაკი სელზე ჩამოვარდა. ეს ხომ ერთ დროს ყველაზე დიდი სელის გუბერნია იყო. ჰოდა, ვკითხე, ისევე მოგყავთ თუ არა სელიმეთი.

— აბა, როგორ! სელს ძალიან ბევრს ვთესავთ... და მითხრა, რამდენსა თესავდნენ.

მოსკოველ სტუმრებს აქ ძალზე

თბილად შეგვხვდნენ და მეც გავბედე ოლქის ბატონ-პატრონისთვის მეთხოვა:

— თუკი ამდენ სელს თესავთ, იქნებ ერთი ბოთლი სელის ზეთი მაჩუქოთ. ჩემმა ბავშვობამ აქ გაიარა. კაცი ამ ზეთზე ვარ გაზრდილი. თუნდაც გემო გამახსენა მისი... დამავიწყდა კიდევ, რა გემო აქვს...

ოლქის ბატონ-პატრონს სახე მოელრუბლა.

— ზეთს ვერ შეგპირდებით. აქ არა გვაქვს ზეთის გამოსახდელი. მთელ თესლეულს სხვა ოლქში ვაგზავნით გამოსახდელად. იქიდან ჩვენთან აღარ ბრუნდება.

აბა უყურეთ! შეიძლება კი იმის წარმოდგენა, გუბერნატორთან სტუმრობისას მწერალს ეთხოვა და გუბერნატორს მისთვის ერთი ბოთლი სელის ზეთი არ ეშოვნა! მთელ ოლქში, სადაც სელი მოჰყავდათ, ერთი ბოთლი სელის ზეთი ვერ მოინახა! ეს გახლავთ ცენტრალიზაცია! ნეტა სად, რომელ „შავ ხრამში“ ინთქმება ყველაფერი?!

* * *

ყველა ვიცნობთ მაზაი პაპას და ვიცით, როგორ გადაარჩინა მან წყალიდობით შეჭირვებული კურდღლები. ჰოდა, ერთი ქალი ჰყვება თავის მოგონებებში, როგორ ნადირობდა მისი ქმარი. შემოდგომა იდგა, სადაცაა ყინული შეჭრავდა მდინარეს. წყალი უკვე მოაქანებდა თოშს, პატარა კუნძულზე შეხიზულიყვნენ კურდღლები თავის გადასარჩენად. მონადირეს, ვისაც ეს ქალი იგონებს, ნავით მოუხერხებია კუნძულზე მიღწევა და თოფის კონდახით იმდენი კურდღელი დაუხოცავს, ლამის ნავი ჩასძირა მათმა სიძიმემ. თავისი ქმრის ამ „გმირობას“ ქალი იგონებს დიდი სიყვარულით. სულაც არ შეუცბუნებია იმ ამბავს, ხაფანგში მოქცეული პატარა ცხოველების დახოცვამ რა კმაყოფილება მოჰგვარა მის მონადირე ქმარს.

ეს ქალი გახლდათ ნადეჟდა კრუპსკაია. ამბავი კი მომხდარა შუშენსკოეში.. წაიკითხეთ მისი „მოგონებანი“, 1932-1936 წელს გამოცემული მოსკოვში, სახელგამის მიერ.

* * *

ერთ-ერთ ლიტერატურათმცოდნეობის ყურნალში ასეთი კითხვა იყო: „რომელი რუსი პოეტის ბედი მიგაჩნიათ ყველაზე ტრაგიკულად?“

შეიძლება ითქვას, რილევის. რაც უნდა იყოს, კაცი ჩამოახრჩვეს.

მაშინვე გავონდება პუშკინიც და

ლერმონტოვიც. ორივე ახალგაზრდა მოკლეს: 37 და 27 წლის.

მაგრამ მე ესენინს დავასახელებდი.

რილევები ჩამოახრჩვეს. მაგრამ ის რევოლუციონერ-ექსტრემისტი იყო. რევოლუციონერმა კი უნდა უწყოდეს, რაზედაც მიდის.

მომავლადემა პუშკინმა იცოდა, რომ მის უკან რუსეთი რჩებოდა მისი ამოუწყვეტავი ხალხით. სიკვდილის სარეცელზე მწოლი ბართებს უგზავნიდა რუსეთის თვითმპყრობელს.

ლერმონტოვმა მყის დალია სული, ვერც იგრძნო, რომ კვდებოდა.

ესენინს კი ბედმა არგუნა იმის ხილვა, რომ რუსეთი ილუპებოდა. ოცდასუთიანი წლების მიჯნაზე მას უკვე შეეძლო განეჭვრიტა როგორც სოფლების, ისე იმ ხალხის დაღუპვა, ვისი შვილიც ის იყო. ჭეშმარიტად ტრაგიკული ბედია!

* * *

მოსკოვში იაპონური ტექნიკის გამოფენა იყო (მაგნიტოფონები, ფოტოაპარატები, ტელევიზორები, კომპიუტერები, ავტომობილები, დაზგები, სამედიცინო იარაღები და ა. შ.). ერთმა მოსკოველმა იაპონიის წარმომადგენელს ჰკითხა:

— რას იტყვით, რამდენი წლით თუ ათწლეულით ჩამოვრჩებით იაპონიას ამ სახის ტექნიკით?

იაპონელი წამით დაფიქრდა და მერე დარწმუნებით თქვა:

— სამუდამოდ!

* * *

უკანასკნელ წლებში განგსტერულ კინოფილმებში ძალზე გავრცელდა მძევლებზე სიუჟეტები. როცა უნდათ მოსამართლე, პროკურორი, პოლიციის კომისარი თუ რომელიმე პოლიტიკური მოღვაწე გააჩუმონ ან მოქმედება შეაწყვეტინონ, შვილს ან ცოლს სტაცებენ. არ იტყვი უარს შენს შეხედულებაზე და შენი შვილი მოკლული ან ნაწამები იქნება. ასეთი სურათების მაყურებლები ძალზე აღშფოთებულები რჩებიან და განგსტერებს სამართლიანად მკვლელებად, სისხლმომწყურებულ ურჩხულებად, მოკლედ ბოროტმოქმედებად თვლიან.

მაგრამ მძევლების სისტემა ხომ ჩვენს ქვეყანაშიც იყო დიდად გავრცელებული ტროცკის ბრძანებით (ყოველ შემთხვევაში, მის დროს). იჭერდნენ რუსი ოფიცრის ოჯახს ან გენერლისას. თუ წითელი არმიის მხარეზე არ იბრძოლებ. ოჯახს

გაგინდგურებთ, თუ თეთრების მხარეზე გადახვალ, ოჯახს მოგისპობთო. მძევლობით აშინებდნენ მთელ ქალაქებს. თუ ქალაქი ახალი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას არ შეწყვეტდა, განადგურებით ემუქრებოდნენ და მართლაც ასობით და ათასობით ანადგურებდნენ კიდეც.

ეს იმიტომ გამახსენდა, რომ არც ერთ იმ წლებზე შექმნილ ფილმებში (არც რომანებში, არც მოთხრობებში) არ გაჭაჭანებულა არაფერი მძევლობის თაობაზე. ხოლო ვინც ამ მძევლობის განმასხვრციელებლები იყვნენ, მათ რაცხავდნენ გმირებად და არა კაცის მკვლელებად.

* * *

ყოველ დემოკრატში მალულად ზის დემოკრატია, მოძალადე და კონონის დამრღვევი.

ვესაუბრები ერთ ზედდემოკრატიულად ჩანწყობილ დემოკრატს და კომკავშირზე ჩემს აზრს ვუზიარებ.

— აბა დაფიქრდით! მოსკოვს თავისი კომკავშირის კომიტეტი ჰყავს, სადაც, მგონი, ათასამდე კაცი მუშაობს. კიდეც კომკავშირის საქალაქო კომიტეტები, კიდეც სარაიონო კომიტეტები. გარდა ამისა, ყოველ ოლქს ჩვენს ქვეყანაში ჰყავს თავისი საოლქო კომიტეტი, ყოველ რაიონს თავისი რაიონის კომიტეტი. გარდა ამისა, ყოველ საკავშირო თუ ავტონომიურ რესპუბლიკას კომკავშირის თავისი ცენტრალური კომიტეტი.

ეს რამდენი უსაქმური გამოდის! ხოლო რომ უსაქმურები არიან, ამას წყალი არ გაუვა, რადგან კომკავშირი ახლა არავის არ სჭირდება. არც ახალგაზრდობას (ახალგაზრდობა თავისთვის ცხოვრობს), არც სახელმწიფოს, ვინაიდან კომკავშირი ახალგაზრდობაზე არავითარ გავლენას არ ახდენს...

— ჰოდა; დაშალეთ ეს ორგანიზაცია, — მეუბნება დემოკრატია.

— კი მაგრამ, რა უყოს სახელმწიფომ ამ ათეულ და ასეულ ათას კომკავშირულ მუშას? მაგათ ხომ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, არც პროფესია აქვთ. მარტო ყბედობა იციან, თუმცა ხეირიანად არც ეს გამოსდით...

— რა უყონ და, სოფელში გაყარონ, — მომახალა უეცრად „დემოკრატმა“, — იქ იმუშაონ. სოფელი სულმთლად გაუკაცურდა.

— როგორ თუ გაყარონ? თუკი არ უნდათ იქ წასვლა? ქალაქში მათ ბინები აქვთ, ოჯახიც აქ ჰყავთ,

ბავშვები სწავლობენ. არა, სოფელში არ წავლენ.

— გააგზავნონ, ძალით გააგზავნონ...

— მაშინ რალა დემოკრატია გამოდის? ძალით გაგზავნა ხომ ძალადობაა, ეს ხომ დიქტატურაა.

* * *

რეგოლუციის პირველ წლებში ისე დაუნაგვიანეს ხალხს ტვინი „ნათელი მომავლით“, რომ ყველას ეგონა „ნათელ მომავალს“ სადაცაა ხელით მივწვდებითო. ყოველ შემთხვევაში მიაიკოვსკი „ბაღინჯოში“ თავის გმირს პრისიპკინს ორმოცდაათი წლის შემდეგ გამოყინავს, ანუ 1975 წელს აცოცხლებს. ხოლო რა „ნათელი მომავალი“ დახვდებოდა მას 1975 წელს, ყველამ კარგად ვიცით. მიაიკოვსკის მიხედვით კი გამოდის, რომ 25 ხმარებული სიტყვების უმრავლესობა ამ დროისათვის უკვე მკვდარი იყო, და, როცა ზოია ბერიოზკინა, ამ წლებს მიტანებული ლაპარაკობს, პროფესორი წარამარა „მკვდარი სიტყვების“ ლექსიკონში იხედება. რა სიტყვები მოხვდებოდა მიაიკოვსკის წარმოდგენით ამ წლებისათვის? ასო „თ“-ზე მიაიკოვსკის ჩამოთვლილი აქვს: „თვითმკვლელობა“, „თვითმპყრობელობა“, თვითრეკლამა“, „თვითშემჭიდროება“... ბ“-ზე: „ბიუროკრატია“, „ბუბლიკი“, „ბოჭემა“, „ბულგაკოვი“... ერთიც ვერ მოახვედრა მიზანში. ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ ბულგაკოვს ახლა თითქმის ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს, რასაც ვერ იტყვი მიაიკოვსკიზე.

* * *

ერთ-ერთ „ნაკვესში“ მე უკვე ვწერდი, 1985 წელს „დაუწერელი მოთხრობებისათვის“, რომლებიც მხოლოდ ხელნაწერის სახით მქონდა, ლამის ყველგან დამიპირეს გამორიცხვა.

მაგრამ მაინც არ გამომრიცხეს და მხოლოდ მკაცრი საყვედური მაკმარეს. „მოსკოვის პარტორგანიზაციაში ვ. სოლოუხინის მასალა შემოვიდა, სათაურით „დაუწერელი მოთხრობები“. მათში გამოთქმული აზრები შეუძლებელს ხდის მას ჩვენს რიგებში...“ და ა. შ. აზრები კი იყო: შევწყვიტოთ ავღანისტანში სამარცხვინო ომი. გავათავისუფლოთ ხალხი რიგებში დგომისა

და უაზრო კრებებზე დასწრებისაგან, გავწმინდოთ ქუჩები პარტიის შემარცხვენილი ლოზუნგებისაგან (მმართველმა პარტიამ არ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა იქოს თავისი თავი). კიდეც ვამბობდი, რომ ომის დროს გერმანელები ლამის გვამებით ჩავახრჩვეთ. ისინი ჩვენს მოკვლასაც ვეღარ ასწრებდნენ (ცნობილია, რომ ყოველი შეტევის წინ ყუბოვი ითხოვდა ჩვენი შემომრებისა და გერმანელების შეფარდება ათი ერთზე ყოფილიყო) და კიდეც სხვა და სხვა.

1989 წელს ეს საყვედური არა მარტო მომიხსნეს, უბრალოდ გააუქმეს, როგორც უსაფუძვლო და შემცდარი. ძალიან კარგი.

გამომშვიდობებისას რაიკომის მდივანმა მითხრა:

— ახლა სასაცილო კია, თუ რისთვის მოგცეს მაშინ საყვედური.

— დიახ, მაგრამ რასაც ახლა ვწერ, მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდება სასაცილო.

* * *

ერთი თანამედროვე პოეტის კითხვისას ასეთ სტრიქონებს წავაწყდი: „წახვიდე დროზე, დიდი ჭკუაა, ვინემ ტრიბუნებს გააქვთ ღრიალი, და გზა დაუთმო ყმაწვილკაცობას თუნდ წუთისოფლის შუა გზაზე იყო...“

უნდა ჩავთვალოთ რომ პოეტს უბრალოდ წამოსცდა ეს სტრიქონები. მართლაც რადაა დიდი ჭკუა, რისთვის ან ვისთვის? თუკი ამბიციებსა და თავმოყვარეობას ვიგულისხმებთ, ვაითუ ტრიბუნებზე შეწყდეს ღრიალი? ვაითუ სულაც ტაში აღარ დავიკრან, ვაითუ ვისმეს შენზე მეტი ტაში დაუკრან? მაშინ ცხადია. მაგრამ როგორ უნდა წახვიდე და თავი გაარიდო (როცა ჭერ კიდეც შუა გზაზე ხარ), როცა სამშობლო განსაცდელშია, როცა ადამიანებს სიმართლეზე თვალი უნდა აუხილო, როცა ადამიანთა სულს რეანიმაცია სჭირდება და მათ ტვინს გამოყინვა? დაუთმო გზა ყმაწვილკაცობას? მაგრამ განა მათ ის იციან, რაც მე ვიცი? განა ისინი იტყვიან იმას, რასაც მე ვიტყვი? ტრიბუნათა ღრიალი? სასაცილოა. სიმართლის მთქმელებს, ჭეშმარიტი სიმართლის მთქმელებს უფრო ხშირად აფურთხებენ და ქვეებს ესვრიან, ვინემ ალტაცების ღრიალით აჯილდოებენ.



საბავშვო ბაღში საახალ-
წლოდ ემზადებოდნენ.

— ბავშვებო, — მიმართა
აღმწარდელი ივანოვამ, —
ხვალედან წარმოდგენის რეპე-
ტიციას დაიწყებთ, უნდა და-
ვდგათ „ფიჭია და შვიდი ჭუ-
ჭა“. გინდათ ამ პიესაში თა-
მაში?

— გვინდა, გვინდა! — ერთ-
ხმად მიუგეს ბავშვებმა.

— ძალიან კარგი! მაშინ,
მოდით, როლები ახლავე გა-
ვანაწილოთ. მიჩე, შენ ფიჭ-
ქია იქნები, სილვა — ბორო-
ტი დედოფალი, მიკო მეფეს
ითამაშებს, საშკა — პრინცს.
დანარჩენები კი ჭუჭებს განა-
სახიერებთ. სთხოვეთ სახლში
მშობლებს, წაგიკითხონ ეს
წლაპარი და გაგაცნონ თქვენი
როლი...

— დილა მშვიდობისა, ბავშ-
ვებო! — მიესალმა მეორე
დღეს აღმწარდელი. — გაეცა-
ნით როლებს?

— დიას, დიას! — შესძახეს
პატარებმა.

— მაშინ, შევედგეთ რეპე-
ტიციას...

სწორედ ამ დროს კლასში
ჩაიჭურ შემოიჭრა ზოლიანპი-
ჯაკიანი, ჩაუტყვილი მამაკაც.

— გამარჯობათ, მე სტეპკას
მამა ვარ, — გაცნო თავი, —
ჩემმა გოგონამ მითხრა, „ფიჭ-
ქია და შვიდ ჭუჭას“ ვამზა-
დებთ დასადგმელად, ჰოდა,
იცოდეთ, ფიჭიას როლი ჩემ-
მა სტეპკამ უნდა ითამაშოს!

— არა, შეეპასუხა აღმწარ-
დელი, — ფიჭიას როლს
მიჩე ითამაშებს.

— რაო, რაო?! — თქვა გა-
მომწვევად კაცმა. — მიჩეს
მამა განყოფილების უფროსი
რომ არის, ამიტომ მაინცდა-
მაინც მისმა ქალიშვილმა უნ-
და ითამაშოს ფიჭია? იცით
თქვენ თუ არა, რომ ჩვენთან
წვრილმანი და მსხვილმანი
თანამდებობები არ არსებობს,
ყველა სამსახური ერთნაირად
მნიშვნელოვანია...

— ამხანაგო! — სიტყვა შე-
აწყვეტინა აღმწარდელმა. —

თქვენ სამართლიანად არ იქ-
ცევით. აბა, შეხედეთ მიჩეს —
იგი თითქოს საგანგებოდ ფიჭ-
ქიას როლისათვისაა დაბადე-
ბული: გიშრისფერი ნაწნავე-
ბი, ქათქათა სახის კანი, ავარ-
დისფერებული ლოყები...

სტეპკას მამამ მიჩე რამდენ-
ჯერმე შეატრიალ-შემოატრი-
ალა.

— მამ, ნამდვილად დიდი
მსგავსებაა, — წაილულულა
მან. — მე მეგონა, მამამისი
გამო-მეთქი... ეს სხვა საქმეა.
დაე, ითამაშოს...

და იგი შედიღური იერიო
გავიდა ოთახიდან.

იმავე წაშს კარებში ზორბა
ტანის დედაკაცი გამოჩნდა.

— ფიჭია ჩემმა დანიელამ
უნდა ითამაშოს! — დაიძახა
ზღურბლიდანვე.

— მისგან რა ფიჭია უნდა
გამოვდეს! — გაიღმა ივან-
ოვამ. — დანიელა მეტისმე-
ტად საყვარელი ბუთხუზა
ბავშვია. იგი ჭუჭას როლში
უბადლო იქნება.

— თქვენ გინდათ თქვათ,
რომ მე ჭუჭა დავბადე? რო-
გორ ბედავთ დედისა და ბავ-
შვის დამცირებას? პირდაპირ
განაცხდების საბინისტროში მი-
ვლივარ.

იგი კლასიდან გავიდა და
კარი ისე გაიჭახუნა, კინაღამ
ანჭამებიდან ჩამოავლო.

უეცრად ბავშვებმა ერთხმად
შესძახეს:

— რუმჩეს დედიკო, რუმ-
ჩეს დედიკო!

შემოვიდა წყნარი, ნაღვლი-
ანი ქალი.

— გთხოვთ, როგორც სა-
კუთარ დას, ფიჭიას როლი
ჩემს რუმჩეს მისცეთ, თორემ
დედამთილი თავბედს დამა-
წყევლინებს. თქვენ მას არ
იცნობთ, იგი ვერ აიტანს იმ
ამბავს, რომ ჩვენმა რუმჩემ
მთავარი როლი არ ითამაშოს.
გემუდარებით! — და იგი ხმა-
დაბლა ატირდა.

— კარგი, კარგი. — გული
აუჩუყდა აღმწარდელს. —
ვეცდები რაღე მოვახერხო.



ის იყო რეპეტიცია დაიწყო
და ოთახში სამი ტყუპის მამა
შემოიჭრა.

— მე სესის, სოსისა და
სუსის მშობელი ვახლავართ. —
წარუდგა იგი აღმწარდელს. —
მე და ჩემი მეუღლე თავს
შეურაცხყოფილად ვგრძნობთ.
ჩვენი გოგონები ვიღაც ჭუჭე-
ბის როლში გაგიმწესებიათ.
მეგონა, სწორედ შეაფასებ-
დით იმ დიდ ღვაწლს, სამშობ-
ლოს ერთბაშად სამი მოქალა-
ქე რომ ვუძღვენი და ჩვენს
ქალიშვილებს ამგვარ როლებს
არ მისცემდით! მე და ჩემი
ცოლი კატეგორიულად მო-
ვითხოვთ, რომ ჩვენმა შვი-
ლებმა ფიჭია ითამაშონ.

— სამივემ ერთი? — გაი-
კვირვა აღმწარდელმა.

— ისინი სცენაზე რიგრი-
გობით გამოვლენ და ამას ვე-
რავინაც ვერ შეამჩნევს, —
განუმარტა კაცმა.

— მიგიხვდით, — უთხრა
მიკნავებული ხმით აღმწარ-
დელმა.

ბედნიერი მამის ზურგს
უკან კარმა ხერიანად ვერ

მოსწრო მიხურვა, რომ ტე-
ლეფონი აწკრიალდა.

— სილვას მამა ვარ, — გა-
ისმა ბრაზიანი ხმა, — კეთილ
ინებეთ და ამიხსენით, რის
საფუძველზე მიეცით ჩემს ქა-
ლიშვილს დედოფლის როლი?
მოვითხოვ, დაინიშნოს იგი
პროგრესული და შეგნებული
ფიჭიას როლში და საერთოდ,
ჩემი თქვენდამი კეთილი რჩე-
ვაა, კეთილგონიერება გამო-
იჩინოთ. რას ასწავლით ბო-
ლოს და ბოლოს ჩვენს ბავშ-
ვებს? მეფეებო, დედოფლებო,
პრინცებო! ამოყარეთ
ისინი პიესიდან. დაე, ფიჭია
პრინცის ნაცვლად სწავლის
ფრიადოსანმა იხსნას...

აღმწარდელი გაფითრდა და
ტელეფონის ყურმილი ხელი-
დან გაუვარდა...

ერთი კვირის შემდეგ სა-
ბავშვო ბაღში მშობლებს უჩ-
ვენეს მხიარული პიესა „შვი-
დი ფიჭია და ერთი ჭუჭა“.
ჭუჭას აღმწარდელი ივანოვა
თამაშობდა.

თარგმნა
შოთა ამირანაშვილი.

პანორამა

* * *

იციო. რომელი შინაური ცხოველია ყველაზე მეტად გავრცელებული ამერიკის მოსახლეობაში?

ამ თემაზე შეერთებულ შტატებში სოციოლოგებმა ჩაატარეს მოსახლეობის მორიგი გამოკითხვა.

რა გაირკვა?

პირველი ადგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაიკავეს კატებმა, მეორე, რა თქმა უნდა, ძაღლებმა.

და აი, მესამე კი ამერიკელთათვის ყველაზე ძვირფასი შინაური ცხოველი აღმოჩნდა... ღორი.

დაიხს, როგორი მოულოდნელიც უნდა იყოს, ყოველ მათე ამერიკელს სახლში ჰყავს ღორი.

მათი უმეტესობა უპირატესობას აძლევს ვიეტნამის მომცრო ღორებს. ისინი ექვს კილოგრამამდე იწონიან. არიან სიმპათიურები და ითვლებიან საცხოვრებელი ბინის მშვენიერად.

* * *

სცადეთ და გზა გადაუღობთ ცენტრალური ამერიკის ბინადარ ჰუანტლებს მასონს, როცა ისინი აუწენებენ ნამდვილ, ზოგჯერ ერთნახევარი კილომეტრის სიგრძის გზებს, რომლებიც მათ საკვებ მარცვლეულთან აკავშირებს.

რა მოხდება?

ისინი გამოაცხადებენ შესვენებას და იცდიან მანამ, სანამ არ მოვლენ ჰუანტლები „პოლიციელები“ და არ დაამყარებენ წესრიგს.

მკვლევარნი უკვე მრავალჯერ დარწმუნდნენ იმაში, რომ ასეთი მეთრით დაშორებული ჰუანტლები მომენტალურად რეაგირებენ თანამომხეთა სიგნალზე.

თუ როგორ ახერხებენ „მშენებლები“ რადიოსა და ტელეგრაფის გარეშე სიგნალის გადაცემას... ეს გაუგებარია.

ტელეპათია? ბიოველი? საკითხი ჭრჭერობით ღიად რჩება.

* * *

თხუთმეტი წლის წინ ბილი ბოულეს, რომელიც ოქსფორდ-

ში ცხოვრობდა, უბედურება შეემთხვა. სამაგალითო მეოჯახეს, ხუთი შვილის მამას და ამავე დროს ცნობილ ბიზნესმენს დააბრალეს საღაროს გაქურდება.

დაპატიმრება, ციხე, სასამართლო — ბოლეს კი სრული გამართლება. ეს ყველაფერი მისმა გულმა ვეღარ აიტანა.

ინფარქტის გადატანის შემდეგ მას დაემართა ფსიქიური აშლილობა, დეპრესია და დეტოვა სამსახური.

და აი, ერთხელ, ნავში გდომისას, ნელა რომ მიცურავდა. დაინახა დელფინი, რომელიც თავს უქნევდა და ფრუტუნებდა.

— მას თითქოს ძლიერ უხაროდა ჩემთან შეხვედრა, — იგონებდა მოგვიანებით ბოული, — და მე უბრალოდ ვალდებულად ჩავთვალე თავი, ჩამეყვინთა მასთან ერთად წყალში.

ოცი წუთი იცურავდა დელფინთან ერთად ბილი ბოულესმა.

წყლიდან ის სრულიად ჯანმრთელი ამოვიდა.

ეს შემთხვევა ერთ-ერთია იმ მრავალთაგან, რომელიც შეისწავლა ექიმმა გორას დობსონმა. იგი დელფინოთერაპიით მკურნალობს მძიმე ფსიქიკებით დაავადებულებს.

დელფინთა ცივილიზაციის წარმომადგენლებთან კონტაქტი აღამიანს მელანქოლიიდან გამოსვლაში ეხმარება. ისინი თითქოს გამოახსივებენ რალაც აირს, რაც კეთილისმყოფლად მოქმედებს ყველა აღამიანზე, განსაკუთრებით კი დაავადებულზე.

* * *

1988 წლის ზაფხულში კორეაში ჩასულ დევიდ დაუსონს — ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ფონდის წარმომადგენელს და მის თანამშრომლებს უცნაური სურათი წარმოუდგათ თვალწინ:

ოლიმპიურ სოფელ სეულს შვიდი კილომეტრით დაშორებულ ბაზარში, შან-ანის ცენტრში, დიდი ქვაბი თუხთუხებდა. იქვე კი კატებს არჩევდნენ სუპისთვის...

„სამხარეული ღია ცის ქვეშ“ — ასე უწოდებენ თურმე მეორე ასეთივე ცხოველთა ბაზარს უიომის ხიდზე. აქვეა ორი რესტორანი, რომელთა მენიუ მომსვლელს სთავაზობს ძაღლის და კატის ფილეს... ხალხიც ბლომად ირევა.

ეს ხომ ტრადიციული საკვებია კორეაში და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში.

აქაურ ექიმთა აზრით, ჯანმრთელობისთვის ძლიერ სასარგებლოა სწორედ შემზადებული კატის და ძაღლის ხორცი, რომელიც თურმე ახალგაზრდულ ძალას ანიჭებს დაძაბუნებულ მოსუტს, კურნავს მას ასთმისა და ართროტიკისაგან...

თვით კორეელები კი ამ მოვლენას იმით ხსნიან, რომ ღორის და ძროხის ხორცის დიდი სიძვირის გამო ისინი თანდათანობით მიეჩვივნენ ამ უცნაურ საკვებს...

მიუხედავად იმისა, რომ ამ ცხოველებზე „ნადირობა“ საკვებისთვის 1988 წლიდან ოფიციალურად აკრძალა, კორეელები ტრადიციას მაინც არ ღალატობენ.

უცხოური იუმორი

ჰეპინანი ძალდი

ცირკი პროვინციულ ქალაქს ესტუმრა. ატრაქციონში ძაღლებიც ჰყავდათ. საპროგრამო ნომრების ჩვენების შემდეგ მწვრთნელმა ხალხს აუწყა, რომ თრეი, მათ შორის გამორჩეული, საფორტეპიანო სუიტას უეასრულებდა.

ცხოველი ჩაიციუცქა, თათები შემოსდო კლავიშებს და თითქოს კარგადაც უკრავდა. მაგრამ დარბაზში ვიღაცამ წამოიძახა, ვირთხებო. თრეი უმალ წამოხტა და იქითკენ გაიქცა, საიდანაც ხმა მოესმა. საკვირველი ის იყო, რომ მუსიკა ისევ ჟღერდა.

სწორი პასუხი

მითხარი ის ორი სიტყვა, რომელსაც ბავშვები ყველაზე ხშირად ხმარობენ სასკოლო ცხოვრებაში, — ჰკითხა მასწავლებელმა ბიჭუნას.

— არ ვიცი; — მიუგო ყმაწვილმა.

— სწორია.

დაბნეული

მწერალი მატარებლით მიემგზავრებოდა. ბილეთს ეძებდა. გამყოლმა იცნო და უთხრა. არა უშავს, შემდეგ სადგურში მიჩვენეო. მაინც ვერ იპოვა.

— ნუ დეღავ, — დაამზვიდა გამყოლმა.

— კი მაგრამ, რომ არ ვიცი, სად მივდივარ?!

გედოვლათი ვაჟი

— ერთმა კაცმა სისხამ დილით მთელი ქისა ოქრო იპოვა. შენ კი ლოგინში გორაობ! — დატუქსა მამამ შვილი.

— კი მაგრამ, ვინც დაკარგა, ის ხომ მასზე ადრე აღგა?

ტრაბახა

მე და ჩემმა მოსამსახურემ აფრიკაში ორმოცდაათი არაბი გავაქციეთო. თქვა ერთმა.

— როგორ მოახერხეთ? — ჰკითხეს.

— საკვირველი არაფერია, ჩვენ გავრბოდით, ისინი კი უკან მოგვდედდნენ!

ხბო და ჰუდი

ლორდი სოფლის გზაზე ფერმერის ვაჟს შეხვდა. ბიჭი ხბოს ჩასკიდებოდა და მიათრევდა, ჰიუტი ცხოველი კი უძალიანდებოდა.

— რატომ არ მოიხდი ქულს? — ჰკითხა ბატონმა.

— მოვიხდი, თქვენი აღმატებულება წუთით ხბოს თუ დამიჭერს!

სასწაული


უსინათლო ერთ ოჯახში მოხვდა. მთელი საღამო გაატარა კეკლუც მანდილოსანთან. როდესაც ეს უკანასკნელი წავიდა, კაცმა აღტაცება გამოთქვა, საოცრად ღამაში კბილები ჰქონდაო. გაოცდა ხალხი.

— ეს ქალბატონი სულელი კი არ იყო, — თქვა სტუმარმა. — ამდენს რომ იცინოდა.

თარგმნა

მამიკონე თაქორიანმა

კროსვორდი



მე-11 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარგმანად: 1. ქურუმი; 4. რობია; 8. კურატორი; 9. კაკა-ნათი; 12. ლავა; 13. სიცილია; 14. სერი; 17. მანტო; 18. რადიო; 20. ოდიში; 21. მორგი; 22. კექსი; 28. ხვატი; 29. იგავი; 30. ტეშა; 31. იშტა; 32. ტრამვაი; 35. ოსლო; 38. იპოდრომი; 39. შოლოხოვი; 40. იტალია; 41. ლიმიტი.

შვეულად: 1. ქარავანი; 2. რეტი; 3. მორფი; 5. ორალი; 6. აბაი; 7. აკადემია; 8. კალამი; 10. იდილია; 11. ბინდი; 15. კოლონია; 16. კორსეტი; 18. რაგბი; 19. ოხერი; 23. ცხრილი; 24. გასტროლი; 25. ჩალმა; 26. სმისლოვი; 27. თაბორი; 33. რუმბი; 34. ამონი; 36. თრია; 37. დოლი.

მე-12 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარგმანად: 1. კანდელი; 6. „კოსმოსი“; 7. ვივიენი; 11. „აიდა“; 12. ჰიპატია; 13. ელდა; 16. სინჯი; 17. ტაქტი; 19. რაში; 20. ვერნი; 21. ლიობი; 27. ამაგი; 28. ოპერა; 29. ნამჭა; 30. შაია; 31. სტოპერი; 34. „ხილი“; 35. ახსცისა; 36. ბავარია; 37. გაბელია.

შვეულად: 2. აფსკი; 3. ლეიბი; 4. გოლდონი; 5. ანალიზი; 8. ფარსი; 9. ბანქო; 10. მაფია; 14. სილენია; 15. ტრიბუნა; 17. ტანგო; 18. „ირიდა“; 22. შარმა; 23. სახიობა; 24. კერპი; 25. ამბიცია; 26. კაფია; 32. „ტოსკა“; 33. „რელი“.

შვეულად: 4. გემის კორპუსის პორიზონტალური გადახურვა; 5. აშშ-ის შტატი; 6. ინგლისის ძველი სახელწოდება; 7. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო კავშირი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა; 8. ლათინური ანბანის ერთ-ერთი ასო; 9. სუსტი ქარი.

თარგმანად: 4. ქალაქი ნავსადგომი იტალიაში; 6. ავტონომიური რესპუბლიკა; 10. თევზის ერთ-ერთი სახეობა; 12. ციმბირის მდინარე; 13. ტუის ყაყაჩო, ბალახოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა; 15. მსუბუქი იალქნიანი სახპორტო ნავი.

ღიბონალურად: 1. კუნძული ატლანტის ოკეანეში; 2. ქცევის ძირითადი წესი, რწმენა, თვალსაზრისი; 3. საბჭოთა წარმოების ავტომობილი; 5. ხელისუფლების ორგანო ძველ ათენში; 11. საციროკო ხელოვნების ერთ-ერთი სახეობა; 14. საერთო წესისაგან გადახვევა, წესის დარღვევა; 16. გარიჟრაჟი; 17. წამალი, სიცხის საწინააღმდეგო საშუალება.

შეადგინა რამაზ კოპალინაშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე: 1991 — თხის წელიწადი. ფოტო ელუარდ გიგიაშვილისა. მეოთხე გვერდზე: მხატვარ ამირ კაკაბაძის ნამუშევრები.

გადაეცა წარმოებას 20.12.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.02.91. ქალაქის ზომა 60x90¹/₈. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,6. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 36.000. შეკვეთა 2692 ფასი 70 კაბ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

Ежемесячный независимый общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типография газетно-журнального издательства «Самшобло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის და განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



669/30.

